ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა** დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

**„საქართველოზე"** ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15—73**

უზომო მწუხარებაში მყოფი ილია გრიგოლის ძე კიკნაძე შვილები, ელიზბარ, ალექსანდრე, პავლე, ვალერია, შალვა და თამარა აუწყებენ. ნათესავთ და ნაცნობთ პირველი უძვირფასესის მეუღლისას ხოლო დანარჩენი უსაყვარელესის დედის დაკარგვას

**მარიამ (მაშო) ზაქარია უიფიანის ასულისას**

რომლის დაკრძალვა მოხდება 6 თებერვალს. (1—2083—1)

მღვდელი ანანია კიკნაძე მეუღლე ნადეჟდა ივანეს ასული შვილები ელენა ერეკლე ირინა ია და ბიბინა, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველი უძვირფასესის დედის მეორე დედამთილის და დანარჩენები ბებიის

**მარიამ (მაშო ზაქარიას უიფიანის ასულის**

გარდაცვალებას რომლის დაკრძალვა მოხდება 6 თებერვალს დღით ხუთშაბათს ღ. ხარაგოულში. (1—2083—1).

სამსონ საშინოს ძე ასათიანი და შვილები მისნი: ედუსი, ვასასი, მარიამი, აგრაფინა, ეკატერინე, ბიქტორი, ალექსანდრე, ილია, დავითი და კონსტანტინე ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30 იანვარს, ლეჩხუმში, სოფელს ბორდნალაში გარდაიცვალა მეუღლე პირველის და დედა დანარჩენების

**მარგალიტა (მაგატო) ოტია გარდაფხაძის ასული**

**ასათიანისა.**

პანაშვიდი ყოველს დღეს. გამოსვენება და დასაფლავება კვირას, 9 თებერვალს, სოფ. ბარდნალას ღვთის მშობლის ეკლესიის სასაფლაოზე. (5—107—1)

ქართულ ლეგიონის სარდალი და ოფიცრები ამით აცხადებენ, რომ ახალციხის მაზრაში მტერთან ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპნენ:

**პოდპორუჩიკი ალიოშა ივლიანის ძე ცქიტიშვილი, ფეთბებელი პავლე ვასილის ძე ნებიერიძე და მოხალისე გრიშა მეგრელიშვილი. (პოეტი „მთის ნიავი").**

მიცვალებულებს გაასვენებენ ბორჯომის სადგურიდან შორაპანში, სადაც დაკრძალავენ 5 თებერვალს. (1—2080—1)

მეუღლე და დედა შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**კოტე ესტატეს ძე**

**მჭედლიშვილი**

წირვა და დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე მოხდება თებერვლის 5-ს დილის 10 საათზე 1—2081

## ქართველო მებრძოლო

ქართველთა ლეგიონი იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

**მამულიშვილნო,** ერთხელ კიდევ დავუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა.

**მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ**

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა. მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

6—2079—2 ლეგიონის სარდალი **ლეო კერესელიძე.**

## განცხადება

სამხედრო სამინისტროში ქართველ-სომეხთა ომის ისტორიის შესადგენად კომისია დაინიშნა. კომისია სთხოვს წარსულ ომის ყველა მონაწილეთ, აგრეთვე იმ პირთაც, რომელთაც ამ ომთან დამოკიდებულება ჰქონდათ, გამოგზავნონ დროებით მოსახმარად ომის ეპიზოდების ყოველნაირი გადაღებული სურათები, ომის დროს თავგამოჩენილ პირებისა და მათი მოკლე ბიოგრაფიები, ცალკე ჯგუფების საომარი მოქმედების აღწერა. სურათები აღლების გადაღების შემდეგ ყველა მასალები დაუბრუნდებათ.

ნათხოვნი ცნობები უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართით: თბილისი, სასახლის ქუჩა, გენერალურ შტაბის ოპერატიულ სექციის უფროსის კაბინეტი—კომისიისათვის.

კომისიის თავმჯდომარე გენერალური შტაბის გენ.-მაიორი კვინიტაძე.
წევრები. გენ. შტაბის პოლკოვნიკი ზაქარიაძე.
პორუჩიკი ბერელაშვილი. 1—2082 1

მოიკითხეთ ყველგან

## ლვინო

**ს./ს. ვ. და ს. ჩაჩიბაია და ამხ.**

## ჩვენი კანდიდატები დამფუძნებელ კრებისთვის

# სია № 2

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა.

1. ნიკოლაძე ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე, პარლამენტის წევრი, საქართველოს დელეგაციის წევრი საზავო კონფერენციაზე.

2. კედია სპირდონ მალხაზის ძე, პარლამენტის წევრი, ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე.

3. ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე, პარლამენტის წევრი, გაზ. „საქართველოს" რედაქტორი.

4. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე, ნაფიცი ვექილი, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე.

5. თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე, პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

6. მაჰავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე, ნაფიცი ვექილი, პარლამენტის წევრი.

7. ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე, პარლამენტის წევრი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.

8. სურგულაძე პეტრე როსტომის ძე, ჟურნალისტი.

9. ამირეჯიბი შალვა გრიგოლის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი.

10. ივანიცკი რაფიელ (რ. ინგილო) ალექსანდრეს ძე, პარლამენტის წევრი, იურისტი.

11. ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე, პარლამენტის წევრი, ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.

12. გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე, სამეურნეო ბანკის დირექტორი, ქალაქის ხმოსანი.

13. მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე, ფილოსოფიის დოქტორი, მთავარი საერობო ინსტრუქტორი.

14. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე, ქუთაისის ქალაქის ხმოსანი, პარტიის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე.

15. ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე, ნაფიცი ვექილი, საქართველოს დელეგაციის მრჩეველი.

16. წერეთელი ვასილი გიორგის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი. ექიმი.

17. შევარდნაძე მიხეილ ირაკლის ძე, უფლების დოქტორი.

18. ჩიქოვანი ილია მანუჩარის ძე, ფინანსთა სამინისტროს საგანგებო რევიზორი.

19. ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე, ნავთის მრეწველი.

20. კეკელიძე კორნელი-დეკანოზი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

21. ხანანაშვილი იოსებ სოლომონის ძე, ჟურნალისტი, ქართველი ისრაელი.

22. წვერავა ნიკოლოზ ესტატეს ძე, თბილისის ხმოსანი, ქართველ ვაჭარმრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.

23. ჯაფარიძე ტრიფონ მიხეილის ძე, ქუთაისის ეპარქ. გიმნაზიის დირექტორი.

24. მიქელაძე ვლადიმერ სიმონის ძე, ფინანსისტი. საზოგადო მოღვაწე.

25. ჯაფარიძე ლევან (ლელი) სიმონის ძე, ლიტერატორი.

26. თავდგირიძე ნიკოლოზ ყარამანის ძე, სამუნიციპალო მოღვაწე.

27. საყვარელიძე ალექსანდრე სიმონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქუთაისის საურთიერთო ბანკის თავმჯდომარე.

28. ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე, მწერალი, საკათალიკოსო საბჭოს წევრი.

29. ოცხელი იოსებ ივანეს ძე, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი.

30. ყიფიანი ვასილ როსტომის ძე, სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე.

31. გორდეზიანი გიორგი პავლეს ძე, ნაფიცი ვექილი.

32. პურადიშვილი ივანე ისაკის ძე, აზოვ-დონის ბანკის ქუთაისის განყოფილების მმართველი.

33. კვირკველია დავით ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქართულ იურიდიულ საზოგადოების თავმჯდომარე.

34. დადიანი იოსებ იულონის ძე, ინჟინერი, ნავთის მრეწველი.

25. ძიძიშვილი ნოე სიმონის ძე, იურისტი, კომერსანტი.

36. მამულაიშვილი ლევან ქაიხოსროს ძე, იურისტი, ნავთის მრეწველი.

37. თუმანიშვილი პავლე იოსების ძე, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი.

38. პაპავა ბარნაბ ამბაკოს ძე, ინჟინერი შავი ქვის მრეწველი.

39. მეუნარგია იონა მიხეილის ძე, მწერალი, ზუგდიდის მაზრის ერობის ხმოსანი.

40. სულუხია მოსე ივანეს ძე, გერმანულ-კავკასიური ბანკის დირექტორი.

41. საბახტარაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.

42. ჯავახიშვილი (ადამიშვილი) მიხეილ საბას ძე, ჟურნალისტი.

43. ციცქიშვილი ვასილ მიხეილის ძე, მასწავლებელი.

44. ელიავა გრიგოლ ლავრენტის ძე, ექიმი, ბათომის ხმოსანი.

45. ქიტიაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე, ქიმიკოსი, გორის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების თავმჯდომარე.

46. ჟორდანია გიორგი თევდორეს ძე, ნაფიცი ვექილი.

47. დუმბაძე დიმიტრი მოსეს ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი, საქართველოს პრესბიუროს თავმჯდომარე.

48. ნასიძე ივანე აბრამის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.

49. ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე, მრეწველი, თბილისის საბჭოს ხმოსანი.

50. ედილაშვილი ზაქარია (ზ. ედილი) ერმოლოზის ძე, მწერალი.

51. მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე, ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.

52. მაჰავარიანი გიორგი ლუარსაბის ძე, ნოტარიუსი.

53. ხუსკივაძე თეოფილე იესეს ძე, ნოტარიუსი, ბელეტრისტი.

54. გველესიანი იოსებ იოსების ძე, ვაჭარი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.

55. დადიანი ილია ილიას ძე, იურისტი, ზუგდიდის ქალაქის თავი.

56. ჯაიანი ბესარიონ ლევანის ძე, ბუღალტერი.

57. გუჯეჯიანი გიორგი სტეფანეს ძე, მასწავლებელი.

58. კალანდაძე დავით იაგორის ძე, პროვიზორი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.

59. ბარათაშვილი გრიგოლ საჩინოს ძე, ნაფიცი ვექილი.

60. ახვლედიანი ვარლამ სოლომონის ძე, პროვიზორი.

61. მგალობლიშვილი ვასილ გიორგის ძე, ამიერ-კავკასიის ბანკის რწმუნებული ბათუმში.

62. კლიმიაშვილი ზაქარია მიხეილის ძე, თელავის გიმნაზიის დირექტორი.

63. გვალია მიხეილ ოტიას ძე, ნოტარიუსი, ზესტაფონის ქალაქის თავის მოადგილე.

64. გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე, კომერციის ინჟენერი.

65. გოგიტიძე გერმან იოსების ძე, ოზურგეთის ხმოსანი.

66. გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე, მრეწველი.

67. ჯავახიშვილი იასონ ვლადიმერის ძე, იურისტი.

68. ელიოზიშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე, ექიმი.

69. შალიბაშვილი გიორგი მიხეილის ძე, თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი.

70. ტატიშვილი შალვა გრიგოლის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.

71. ყუფარიძე ბარნაბ სოლომონის ძე, ქუთაისის ვაჭ.-მრეწველთა კავშირის გამგეობ. თავმჯდომ. ამხანაგი.

72. კასრაძე დავით ილარიონის ძე, იურისტი.

73. უზნაძე პავლე ნიკოლოზის ძე, ქუთაისის საურთიერო ბანკის დირექტორი.

74. აბაშიძე გიორგი მინას ძე, პედაგოგი, მწერალი.

75. ხუნდაძე ლევან სილოვანის ძე, ჭიათურის ქალაქის გამგეობის წევრი.

76. გედევანიშვილი რევაზ ალექსანდრეს ძე, აგრონომი, სოფლის მეურნე.

77. ძებნიაური მიხეილ მათეს ძე, სოფლის მეურნე.

78. იშხნელი ზაქარია ნიკოლოზის ძე, პედაგოგი.

79. გვერწითელი გაბრიელ ივანეს ძე, ექიმი, გორის საერობო ხმოსანი.

80. მარუაშვილი მინა მალაქიას ძე, ექიმი.

81. ბებერიშვილი ამბროსი ბესარიონის ძე, გორის გიმნაზიის ინსპექტორი.

82. გამყრელიძე სამსონ იოთამის ძე, ახალსენაკის ქალაქის ხმოსანი.

83. ხერხეულიძე მიხეილ ზურაბის ძე, გაზეთ „ახალი ძალის" რედაქტორი.

84. ჟღენტი ილარიონ მოსეს ძე, პედაგოგი.

85. კლიმიაშვილი ნესტორ მიხეილის ძე, ექიმი.

86. დალაქიშვილი ევგენი გიორგის ძე, მასწავლებელი მეურნე.

87. მგალობლიშვილი ვარლამ მიხეილის ძე, გორის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის საბჭოს წევრი.

88. უხურგუნაშვილი რაჟდენ სოლომონის ძე, გორის ქალაქის ხმოსანი.

89. კაიშაური ნიკოლოზ ანდრიას ძე, კოოპერატორი.

90. ჩიბალაშვილი ივანე თევდორეს ძე, სოფლის მეურნე.

91. შამანაური მიხეილ შიოს ძე, სოფლის მეურნე.

92. დათიაშვილი ბესარიონ ბესარიონის ძე, სოფლის მეურნე.

93. ბერძენიშვილი ივანე სიმონის ძე, ხელოსანი.

94. კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, არტილერიის ჯარისკაცი.

95. კვარაცხელია ლავრენტი თადეოზის ძე, ზუგდიდის ქალაქის ხმოსანი.

96. კიკნაძე ალექსანდრე ილიას ძე, სოფლის მეურნე.

## პოლიტიკური ინფორმაცია

ამ დღეებში თბილისის ქართულ და რუსულ პრესაში ცნობა იყო რომ საქართველოს წარმომადგენელათ ევროპაში და პოლიტიკურ ინფორმაციის მოსაწყობათ მთავრობა ჰგზავნის ბ. სტანისლავ ვოლსკის. ჩვენ არა ერთხელ მიგვიქცევია მთავრობის ყურადღება იმ საკითხისთვის, რომ საქართველოს პოლიტიკური ინფორმაცია ევროპაში არ არის მოწყობილი, როგორც საჭირო არის, რომ ამ საკითხის მოგვარებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

26 მაისს რადიომ მთელ ქვეყანას ვაშინგტონიდან ტოკიომდე მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ბ. ნოე რამიშვილის დეპეშა გადასცა დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. არავინ იცის მიაღწია თუ არა ამ რადიომ თავის დანიშნულებას, მაგრამ კიდეც რომ არ დაკარგულიყო, მაინც ძალიან საეჭვოა, რომ შესაფერი დაფასება მიეღო ევროპის თუ სხვა სახელმწიფოებიდან, რადგან ქართული საკითხი ევროპის საზოგადოებრივ აზრისთვის არ არის მაინც და მაინც პოპულიარული.

მხოლოდ როცა გერმანიის რეიხსტაგში დაისვა საქართველოს საკითხი, მას შემდეგ მიეცა იმას ცხოველი ინტერესი, მაგრამ ამ ინტერესსაც განსაზღვრული ხასიათი ჰქონდა.

მთავრობას ჯერ ჯერობით ბევრი არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ ქართული საკითხით დაეინტერესებია სხვა ქვეყნები.

უმთავრესათ პოლიტიკური ინფორმაცია სხვა სახელმწიფოებში ჩაბარებული აქვს დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

ჩვენ სხვა დროს გვექნება საშუალება შევეხოთ ჩვენს დიპლომატებს.

ჯერჯერობით ზოგიერთ მათგანზე მხოლოდ გადაწყვეტით შეიძლება ითქვას, რომ არა თუ ასეთი საქმე, როგორიც არის პოლიტიკური ინფორმაციის მოწყობა, თავისი პირდაპირი დანიშნულებაც ვერ აუსრულებიათ.

მართალია მთავრობამ მოაწყო რამდენიმე დელეგაციის გაგზავნა ევროპაში, მაგრამ მათ მხოლოდ სოციალისტების მისამართი ჰქონდათ და ამის გარდა ხშირად ისეთი შერჩევა იყო პიროვნებების, რომ საეჭვო იყო რომ თუნდაც სოციალისტებთან შეძლებოდათ მათ ლაპარაკი. რაც შეეხება წერილობით პროპაგანდას ამის შეძლება მათ ძალღონეს რა თქმა უნდა აღემატებოდა.

უფრო სამწუხარო სურათი გაიშლება ჩვენ თვალწინ, როცა ჩვენს საქმიანობას სომხების მუშაობას შევადარებთ ევროპაში. სომხებმა საუკეთესო მაგალითი უჩვენეს კაცობრიობას, რომ უნარი აქვთ პროპაგანდის და თავიანთ ტკივილზე შეუძლიათ ლაპარაკი. ზოგჯერ, შეიძლება ითქვას კიდეც უმეტესს შემთხვევაში, მათი ინფორმაცია ყალბია და გადამეტებული, მაგრამ ეს მორალის ნაკლია და არა საქმიანობისა.

ვინ არ იცის, როგორ გამოიყენეს მათ საქართველო-სომხეთის ომი და როგორც ავრცელებდნენ ფანტასტიურ ცნობებს საქართველოს დამარცხებაზე.

გაზეთი დღიურათ იბეჭდება, და რაც ერთხელ მკითხველს თვალში შერჩება, ის მახსოვრობაში აღიბეჭდება განსაკუთრებით მაშინ, როცა არავინ არის, რომ უარყოს ეს ხმები.

ჩვენ მთავრობას გადაუწყვეტია ამ ნაკლის მოშორება, მაგრამ პირველივე ნაბიჯი მარცხიანია.

ჩვენ არ ვიცით, რითი ხელმძღვანელობა მთავრობა, როცა სტანისლავ

40

# უკანასკნელი ცნობები

თბილისის ქალაქის არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიამ 10 ხმოსანი გაიყვანა.

ორ თებერვალს ჯავახეთის გლეხთა სამაზრო ყრილობა გაიხსნა.

საქართველოს ელჩად ლონდონში დავით ღამბაშიძე დაინიშნა.

ბრემენში მთავრობასა და სპარტაკელების შორის მდგომარეობა მწვავდება.

დიუსელდორფში სპარტაკელები ახალ აჯანყებისთვის ემზადებიან.

მოკავშირეთა ტრედუნიონ კონფერენციის სხდომაზე ამერიკისა და ბელგიის დელეგატებმა უარი განაცხადეს ბერნში სოციალისტურ კონფერენციაზე დასასწრებლად წასვლაზე.

მოკავშირეთა სარდლობამ გერმანია-ავსტრიის ბანკების ოპერაციების და ოსმალეთის რკინის გზის კანტროლი იკისრა.

რუმინია მოითხოვს ტრანსილვანიას, ბუკოვინას, ბესარაბიას, დობრუჯას. მოითხოვს აგრეთვე, რომ მოკავშირეებმა დასცალონ ბანატი.

ბოლშევიკებმა არხანგელის რაიონში შეტევა დაიწყეს.

---

ვოლსკის ანდობდა საქართველოს საკითხის პროპაგანდის მოწყობას.

ჩვენ ბევრჯერ გვახსოვს, „ერთობის" გულამღვრეული წერილები ბ. სტ. ვოლსკის წინააღმდეგ, როცა ის კიევის გაზეთებში ცილის წამების წერილებს სწერდა საქართველოს წინააღმდეგ.

როდის გამოიცვალა აზრი ბ. ვოლსკიმ?

ან რა გარანტია აქვს მთავრობას, რომ ვოლსკიმ აზრი გამომიცვალა?

რა მორალური ღირებულება ექნება სტ. ვოლსკის მუშაობას, იმის შემდეგ, როცა ის ასე გაფთრებით ებრძოდა საქართველოს სახელმწიფოს რამდენიმე თვის წინ და აწაღელვებელ ცილის წამებასავრცელებდა მის შესახებ.

რა საჭიროება მოითხოვდა, რომ სწორეთ ასეთი მორალურათ საეჭვო ჟურნალისტი მოეწვია ჩვენ მთავრობას.

ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ მთავრობას ამისთვის მიქცეული აქვს ყურადღება და ჩვენ ხალხს აცილებს ამ მარცხს.

საქართველოში ჯერ კიდევ არ დალეულა ხალხი, რომელთაც არ შეეძლოს ამ საქმის მოწყობა, თუ მთავრობა იმათ მიმართავს და სამოქმედოთ აღძრავს; თუ თავიახთ წრეში არ მოეძებნათ ს.-დემოკრატებს ხალხი, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ნამდვილ ქართველს, სხვა მიმართულებისა ვინმე გადამთიელი არჩიოს.

ყოველ შემთხვევაში რესპუბლიკის მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ საქართველო სახელმწიფოა, ღირსების გრძნობით აღჭურვილი და არა უმუშევართა დარჩენილ უცხოელ საეჭვო ჟურნალისტების შრომის ბიურო...

---

P. S. უკანასკნელი ცნობის მიხედვით მთავრობამ ლონდონში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლად დავით ღამბაშიძე დანიშნა. ჩვენ კმაყოფილებით ვეგებებით ამ დანიშვნას, როგორც ერთს ნაბიჯს საგარეო პოლიტიკის განჯასაღებისას.

## არჩევნები და ადმინისტრაცია

არჩევნები არა ჩვეულებრივ ძალადობის ატმოსფერაში მიმდინარეობს. ქალაქის არჩევნებში 2 თებერვალს ადმინისტრაცია, არა თუ ერეოდა საარჩევნო კომპანიაში, არამედ ძალდობასაც ხმარობდა ჩვენი პარტიის წარმომადგენლებზედ. ქალაქის განაპირა უბნებში რამოდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც სახლში გვარდიელებმა თოფის კონდახებით სცემეს ის პირები, ვინც ერ.-დემოკ. პარტიის დავალებით ბიულეტენებს № 2 ავრცელებდენ და ძალა-უნებურათ ნაძალადევში და ავლაბარში სრულებით შეუძლებელი გახდა ამომრჩევლებისათვის ჩვენი ბიულეტენების მიწოდება. და თუ დიდ ქალაქში ეს ხდებოდა, რასაკვირველია გაცილებით მეტი საშუალებაა თვითნებობისთვის პროვინციაში, სადაც ადმინისტრაციას არავითარი კონტროლი არა აქვს და უპასუხისმგებლო მოქმედების საშუალება აქვს მინიჭებული.

ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო, რამოდენიმე ფაქტი ადმინისტრაციის ძილმომრეობისა.

მოგვყავს კიდევ ერთი.

დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომიტეტმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა და ჩვენი პარტიის მთავარმა საარჩევნო კომიტეტმა შემდეგი დეპეშა მიიღეს ფოთიდან:

ცნობები მოდის, რომ სოფლის კომისიები ყრილობებზედ პარტიულის მიზნებით გამოდიან და სხვა პარტიებს აცხადებენ ხალხის მტრებათ და მოღალატეებათ; მაგალითად, ხობის რაიონის კომისარი. სოფელ დიდ ნეძში, ასე მოექცა ეროვნულ დემოკრატებს და ცილის წამების გაბათილებისა და შეკამათების საშვალება კი არ მისცა არავის. ბანძაში კომისარმა თავის ძალა უფლებით აღკვეთა ჩვენი პარტიის პროპაგანდისტები. გთხოვთ სასწრაფოთ მიიღოთ სათანადო ღონისძიებები რათა საარჩევნო კომპანია თავისუფალი გახდეს ადმინისტრაციის ჩარევისა და ძალმომრეობისაგან.

პარლამენტის წევრი სპ. კედია.

---

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კანონში გარკვეულად არის ნათქვამი, რომ ადმინისტრაცია არამც თუ არ უნდა ერეოდეს საარჩევნო კამპანიაში, არამედ თანაბრად იცავდეს ყოველი პარტიის უფლებას, შინაგან საქმეთა მინისტრს ჯერ არავითარი ბრძანება არ გაუცია თავის ხელქვეითთათვის, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი მტკიცედ იყოს დაცული.

ჯერ ჯერობით ადმინისტრაციას მხოლოდ, რომ აქვს დავალებული და საკმაო ყურადღებით შესმენილი: თვალყური ადევნოს, რომ არავინ არ მოხიოს პლაკატები № 1-ის საკანდიდატო სიის და მის წარმომადგენლებს ყოველივე დახმარება აღმოეჩინოს.

## მოკავშირენი და ახლად შექმნილი სახელმწიფოები

თბილისში მოსული ცნობებით, 15 თებერვალს პრინცის კუნძულზედ (მარმარილოს სახლში) გაიხსნება კონფერენცია ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზედ დაარსებულ სახელმწიფოთა შესახებ.

ამ კონფერენციას დაესწრებიან საერთაშორისო ხახალ. კონფერენციის სამი წევრი, წარმომადგენელნი საფრანგეთისა, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთისა.

თბილისში მიღებულ არა-ოფიციალური ცნობებით საქართველოს დელეგაცია, ამ ჟამად ხსენებულ კუნძულზედ იმყოფება და მოლაპარაკებას აწარმოებს შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან.

**მოკავშირეთა მიზნები აღმოსავლეთში.**

ყირიმის გაზეთებში მოთავსებულია საუბარი მოკავშირეთა საზღვაო სარდლობის მეთაურთან რომელსაც უთქვამს, რომ მოკავშირეთა გავლენის სფერო აღმოსავლეთში, გაყოფილია, განსაკუთრებით ინგლისა და საფრანგეთს შორის.

საფრანგეთის გავლენის სფერო გავრცელდება თავრიდსა და ყირიმზედ, ხოლო ინგლისის ჩრდილო კავკასიაზედ, სოიხეთსა, საქართველოსა და სპარსეთის ოსმალეთის სახედო.

## სომხეთში

**სომხების ეროვნული უქმე.**

მოკავშირეთა მიერ, სომხეთის დამოუკიდებლობის ცნობის დღე, სომხეთის მთავრობის მიერ აღიარებულია სახელმწიფო უქმედ.

**უნივერსიტეტი სომხეთში.**

სომხებს გადაუწყვეტიათ ერევანში უნივერსიტეტის გახსნა და ამ მიზნისათვის უკვე გადაუდვიათ 5 მილიონი მანეთი.

**პოღოს ფაშა.**

ეგრედ წოდებულ „შეერთებულ დიდი სომხეთის" მთავრობის თავმჯდომარეს პოღოს ფაშას 10 მილიონი მანეთი შეუწირავს სომხეთის სასარგებლოდ.

**სომხები და ანდრანიკი.**

სომხების ცნობილი ყაჩაღი ღენერალ ანდრანიკისათვის რომელიც ამ ჟამად თავისი ბანდებით" სოფლებს არბევს აზერბეიჯანში, ეგვიპტელ სომხებს ოქროს ხმალი მიურთმევიათ.

## საქარ. დიპლომატიური წარმომ. ლონდონში.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სახელობაზე ლონდონიდან, კავკასიაში მყოფ ინგლისის სარდლობის საშუალებით, 2 თებერვალს მიღებულია შემდეგი დეპეშა: „აუცილებლად საჭიროა დაინიშნოს დავით ღამბაშიძე საქართველოს წარმომადგენლად ბრიტანეთის მთავრობასთან ლონდონში. აუცილებლად საჭიროა დაადასტუროთ ეს დანიშვნა საჩქაროთ დეპეშით ბ. ღამბაშიძის სახელზე. ყველა ცნობები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ბათუმში მყოფ ინგლისის მმართველობის საშუალებით. გვარჯალაძე".

3 თებერვალს ინგლისის სარდლობის საშუალებით ჩვენმა მთავრობამ შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა: „ლონდონში, საქართველოს წარმომადგენელს ბ. დავით ღამბაშიძეს. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა გნიშნავთ თქვენ თავის წარმომადგენლად დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან. ვამტკიცებ რა ამ დანიშვნას, გაცნობებთ თქვენ. რომ სათანადო მანდატი გამოგეგზავნებათ პირველ შესაძლებლობისთანავე. მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი".

## ბრიტანეთის ავიაციის შესახებ შუამდგომლობა.

კავკასიაში ბრიტანიის ჯარის უფროსმა ფორისტიე უოკერმა შემდეგი წერილი გამოუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრს: „თქვენო აღმატებულებავ გაცნობებთ, რომ მოკლე ხანში ბრიტანეთის ავიაციის აფიცრები დაიწყებენ გაცნობას კავკასიის ყველა საფრენ ადგილებისას იმ მიზნით, რომ ბრიტანიის მფრინავებმა ამ ადგილებში ისარგებლონ მიწაზე დაშვების დროს. გთხოვთ თქვენო აღმატებულებავ აღმოუჩინოთ ყოველ გვარი დახმარება ამ მიზნის მისაღწევათ. შესაძლოა საჭიროება მოითხოვდეს ბენზინის საწყობები გაკეთდეს საფრენ ადგილებზე. ამ შემთხვევაში საწყობების დაცვა მინდობილი იქნება ბრიტანიის დარაჯთ, რომელთაც თქვენი აღმატებულება დარწმუნებული ვარ საჭირო ყურადღებას აღმოუჩინეს.

## ქრონიკა

✦ **ჩამორთმეული ქონების შესახებ.** საგანგებო რაზმის მიერ ჩამორთმეულ ქონების დაცვის თაობაზე, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების შორის გაიმართოს თათბირი და ის ქონება, რომლის გადაცემაც მიზან შეწონილად იქნება ცნობილი სათანადო უწყებისათვის, გადაეცეს ამ უკანასკნელებს.

✦ **1 თებერვალს სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარემ ა. საჰაკიანმა** ინახულა საფრანგეთის მისიის თავი გენ. შარდინი და დიდხანს ესაუბრა.

✦ გუშინ, 4 თებერვალს, სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარემ საჰაკიანმა ინახულა ამერიკის მისიის თავმჯდომარე და დიდხან ესაუბრა სასომხეთის მდგომარეობაზე.

✦ **გაძარცვა.** 4 თებერვალს ღამე რამდენიმე უცნობმა შეიარაღებულმა ბოროტ-გამზრახველებმა გაძარცვეს კაპიტ. გუგუშვილი და მ. საფაროვი პირველს წაართვეს 20,000 მან. სახაზინო ფული და რევოლვერი „მაუზერი"-ს სისტემისა; მეორეს კი 674 მან. ფულათ და ოქროს საათი 1500 მან. ღირებულობისა.

✦ **თბილისში ჩამოვიდა მთიელთა რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ჯაბალეევი.**

✦ **კავკავის აღება.** 15000 ინგუშმა აიღეს კავკავი.

✦ **სანიტარულ ნაწილის შტატის დამტკიცება.** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ რესპუბლიკის სანიტარული ნაწილის განსაკუთრებული რწმუნებულის სამმართველოს შტატები მიღებულ იქმნას იმ სახით, რა სახითაც წარმოდგენილია შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ. ხოლო ბუღალტერის ჯამაგირის რაოდენობა იყოს ისეთივე, როგორიც არის სხვა დაწესებულებებში.

✦ **სახალხო სახლში** დღეს სახალხო სახ. არს. ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილ იქნება: „ლაქია" და „დედის ერთა".

✦ **ჯამაგირის მომატება ფოსტა-ტელეგრაფში.** ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს გაუდიდდეთ ჯამაგირები თანახმათ შრომის მინისტრის მიერ შემუშავებულ პროექტისა.

✦ **ხურსათი ტუსაღებისათვის.** წინადადება მიეცეს სასურსათო საბჭოს თავმჯდომარეს სატუსაღოსათვის საჭირო სურსათი მისცეს იუსტიციის სამინისტროს ნისიათ ჯერ-ჯერობით, ვიდრე კრედიტები დამტკიცდებოდეს.

✦ **ჯეჯილი** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი ჯეჯილის მორიგი ნომერი. ჟურნალში სხვათა შორის მოთავსებულია: გ. ქუჩიშვილის და შიო მღვიმელის ლექსები; სპარტაკი თარგმანი დ. კასრაძისა და სხვ.

✦ **მოთხოვნილება მასწავლებლებზე** ქალაქის შრომის ბირჟა ამით აცნობებს ყველა ქართველ მასწავლებლებს, რომელთაც ჰსურთ დაიკავონ ადგილი საგრობო პირველ დაწყების სასწავლებლებში; მიჰმართონ შრომის ბირჟას 9—3 შემდეგ მისამართით: მადათოვის ქუჩა № 11 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ეროვნულ საბჭოს შენობაში.

✦ **ჰაეროპლანის გადმოფრენა ოზურგეთში.** 1 თებერვალს დილის 10 საათზე ოზურგეთს გადაუარა ჩრდილოეთიდან მომავალმა ჰაეროპლანმა. ჰაეროპლანი ბლერიოს სისტემისა იყო. პირველად ბათომისაკენ გაეშურა, მაგრამ საზღვარზე მობრუნდა და დაუწყო ზევრა საზღვრის მთელ ხაზს. ჰაეროპლანის მხრიდან მოისმა სროლა. ვერ გამოარკვიეს ვისი იყო ჰაეროპლანი ამ გარემოებამ დიდი შიში დაბადა მცხოვრებლებში.

## პროვინციის ცხოვრება

### ბათომი

გაეხსნა განათლების მინისტრს 10 მილიონ ფონდიდან ასი-ათასი მანეთი კრედიტი ბათომში ქართული გიმნაზიის (ქალთა და ვაჟთა) გახსნის საჭიროებისათვის. გიმნაზიის გახსნის და მის შესანახავათ გაღებულ თანხების ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილ იქნება მინისტრის მიერ ადგილობრივ ყველა საკითხების გამორკვევის შემდეგ.

### ცხინვალი

შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო ცხინვალიდან სამხრეთ ოსეთის ყრილობის თავმჯდომარის ფილიაშვილისაგან: „თანახმად ჩრდილო ოსეთის ყრილობის დადგენილებისა და პირად მოლაპარაკებისა ჩემ მიერ გაგზავნილ იქმნა მთიან ოსეთში შერეული რაზმი მილიციონერთა და მოხალისეთა ანარქიასთან საბრძოლველად. ამ უკანასკნელ დღეებში ეროვნულ საბჭოს წარმოუდგინეს ექვსი მთავარი ბოროტმოქმედი. დაპატიმრება გრძელდება."

### ფოსტა სოფლად

ტელეგრაფის განყოფილება გაიხსნა სოფ. შემოქმედში (ოზურგეთის მაზრა) და სოფ. ბენარაში (ახალციხის მაზრა). — აცანის (ოზურ. მაზ.) ტელეგრაფის განყოფილება გადაიქმნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებად.

## რკინის გზაზე ჯამაგირების მომატება

თანახმად შრომის მინისტრის ამხანაგის მოხსენებისა რესპუბლიკის სახელმწიფო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს გაუდიდდეს ძირითადი ჯამაგირი შემდეგი რაოდენობით: მუშებს: 1—10 კატეგორიისას—75 პროცენტით, 11—12—70 პროც. 13—14 — 65 პროცენტით. მოსამსახურეებს: 1—10 კატეგორიისას—75 პროცენტით. 11—12 კატეგორიისა 70 პროცენტით და 13 14 კატეგორია 65 პროცენტით. გზის ადმინისტრაცია შეუთანხმდეს რკინის გზების პროფესიონალურ კავშირს, რათა გადათვალიერებულ იქმნას აწ არსებული ნუსხა რკინის გზის ყველა მუშა-მოსამსახურეთა 14 კატეგორიათ გაყოფისა და შემუშავებულ იქმნას ახალი სკოლა კატეგორიებათ განაწილებისა შემდეგი პირობებით: ა) ადმინისტრაციის მიერ გამოიყოფებიან (წარმოებაში მათი როლის მიხედვით) ნამდვილ დამოუკიდებელ მუშებისაგან და შესწავლა ცალკე დამოუკიდებელი კატეგორიები ერთისა და მეორისათვის, ბ) ნაწილდება ყველა მუშები და მოსამსახურეები; 1. ფიზიკურ მომუშავეებათ და 2. საკანტორო და გონებრივათ მომუშავეებათ. გ) თვითეული ჯგუფი ნაწილდება პროფესიების მიხედვით. თვითეული პროფესია რამოდენიმე კატეგორიათ პროფესიონალური ხელოვნების და ნიჭის მიხედვით ან და შრომის სიმძიმის და მისი საშიში პირობების მიხედვით. დ) ნაწილდება თვითეული ჯგუფი და კატეგორია 3 ტერიტორიალურ რაიონათ: თბილისის, ხაშურის და სამტრედიისა. შესდგეს კომისია რკინის გზის ადმინისტრაციის, რკინის გზის კავშირის და შრომის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ბოროტმოქმედებათა გამოსაძიებლათ.

## მინისტრები მიტინგებზე

**ნ. ხომერიკი ხონში.**

მიწათ-მოქმედების მინისტრი ჩავიდა ხონში და სამტრედიაში და მიტინგები გამართა. მიტინგებს მრავალი ხალხი დაესწრო.

როგორც ამბობენ, მინისტრის ხონსა და სამტრედიაში გამგზავრება გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ ხალხს აუღელვებია ქალაქში თავისუფალი მიწების ჩამორთმევის ახალ კანონს და სამტრედიაზე მიწერილ სოფლებს დაუდგენიათ, გამოეყონ საქალაქო თვითმმართველობას.

**ნოე რამიშვილი გორში.**

შინაგან საქმეთა მინისტრი გაემგზავრა პროვინციაში, სადაც ლექციებს წაიკითხავს „თანამედროვე მომენტზედ".

პირველი ლექცია დანიშნულია ქალაქ გორში.

## არჩევნების გარშემო

(დეპეშები)

### ლანჩხუთი

გასულ წელს ლანჩხუთში ხმოსანი არ გვყოლია. ახალ არჩევნებში კი ერთი ხმოსანი გავიყვანეთ. სიხარულიძე.

### გორი

ჩვენ გავიყვანეთ ხუთი. გვყავნდა სამი. სოც.-დემოკ. 22. ქიტიაშვილი.

### თელავი

თვითმართველობაში გავიდნენ—ხუთი ჩვენი (წინედ ორი გვყავნდა), თექვსმეტი სოციალ-დემოკრატი, ოთხი ფედერალისტი, ხუთი დაშნაკელი. ვახ. ციცქიშვილი.

### ხონი

ქალაქის არჩევნების შედეგი: ს.-დ. გაიყვანეს 14 ხმოსანი, ს.-ფ. 5, და ნ.-დ. 1.

### თბილისი

2 თებერვლის ქ. თბილისის ხმოსანთა არჩევნებზე ხმა მისცა 36.073 კაცმა, ამათგან საარჩევნო კომისიამ კანონიერად ჰსცნო 35.366. აქედან:

№ 1 (საქართველოს ს.-დ. პარტია) მიიღო 26.911 ხმა და გაიყვანა 69 ხმოსანი.

№ 2 (ბლოკი ნაც.-დემოკ. და რად.-დემ. და უპარტიოთა) მიიღო 3.863 ხმა და გაიყვანა 10 ხმოსანი.

№ 3 (ს.-რ. პარტია) მიიღო 141 ხმა.

№ 4 (რუს. ს.-დ. პარტია) მიიღო 440 ხმა და გაიყვანა 1.

№ 5 (ს.-ფ. პარტია) მიიღო 2924 ხმა და გაიყვანა 7.

№ 6 (საქ. მუსულმანთა პარტია) მიიღო 6 ხმა.

№ 7 (მემარცხენე ს.-ფ. მაშვრალთა პარტია) მიიღო 418 და გაიყვანეს 1.

№ 8 (ეროვნული პარტია) მიიღო 398 ხმა და გაიყვანა 1.

№ 9 (სახლის პატრონთა კავშირი) მიიღო 306 ხმა და გაიყვანეს 1

## თბ. ქალ. არჩევნების შედეგი

მე-46 საარჩევნო უბანში—ნაძალადევის თეატრი, ჩერქეზ. ქუჩა. № 1 მიიღო 3428, 2—73, 3—0, 4—3, 5—72, 6—0, 7—22.

მე-9 საარჩ. უბ.—ღარიბთა თავშესაფარი, სახამართ. ქ. 1—439, 2—260, 3—2, 3—13, 5—42, 6 0.

მე-7 საარ. უბ.—მინიატურის თეატრი, ვერის დაღმართი 1—164, 2—101, 3—9, 4—5, 5—62, 6 - 0, 7—1, 8 - 15, 9—15.

მე-15 საარ. უბ.—მანთაშევის ქარვასლა, სომხების ქ.—1—344, 2—55, 3—0, 4—18, 5—28, 6—0, 7—0, 8—3.

მე-26 საარჩ უბ. არაკსიანის თეატრში—1—425.

მე-27 საარჩ. უბ. ავლაბრის გიმნაზია—1—399, 2—12, 3—0, 4—3, 5—24, 6—0, 9—3.

მე-29 საარჩევნო უბ.—მარინეს საეკლესიო სკოლა—1—132, 2 - 24, 3—5, 4—7, 5—18, 6—5, 7—0, 8—0, 9—1.

მე-30 საარ. უბ. ველოსიპ. კლუბი—1—133, 2—26, 3—0, 4—8, 5—27, 9—1.

მე-40 საარჩ. უბ. ავჭალის აუდიტორია—1—267, 2—95, 3—5, 4—3, 5—57, 6—3, 7—5, 8 - 1, 9—25.

მე-21 საარჩ. უბ. ქალაქის ახალი სასაკლაო—1—397, 2—1, 3—1, 4—0, 5—6.

მე-24 საარჩ. უბ. მურაშკოს თეატრი—1—87, 2—0, 3—0, 4—0, 5—12, 6—0, 7—2.

მე-25 საარჩ. უბ. კახეთის ქ.—1—395, 2—16, 3—12, 4—0, 5—5.

მე-3 საარჩ. უბ. ოლღას ქ. სახ. მაჩაბელისა—1—653, 2—189, 3—4, 4—2, 5—91, 6—0, 7—0, 8 - 28, 9—5.

მე-8 საარჩევნო უბანი არტისტიულ საზ. დარბაზში 1—182, 2—95, 9—6, 4—10, 5—73, 6—0, 7—6, 8—18 9—12.

მე-13 საარჩ. უბ. სავაჭრო სასწავ. სახ. მანთაშევისა—1—90, 2—30, 3—7 4—37, 5 - 8, 6 0, 7 2, 8—0, 9—22.

მე-14 საარ. უბ. სახელოსნო გამგეობა—1—408, 2—80, 3—3, 4—56, 5—68, 6—0, 7—11, 8—15, 9 - 8.

მე-16 საარჩ. უბანი, სომეხთა საქ. მოქმედო საზოგ. 1—91, 2—25, 3—1, 4—48, 5—18, 7—0, 9—15.

მე-19 საარჩ. უბ. 1—417, 2—11, 3—0, 4—0, 5- 8.

მე-28 საარ. უბ. ლაზ. ქ. ავლაბარი—1—203, 2—10, 3—2, 3—7, 5—3.

მე-37 საარჩ. უბ. ტურგენ. ქუჩა, მესამე სამომრ. სასამართლ.—1—308, 2 - 164, 3—3, 4—5, 5—67, 9—2.

მე-51 საარჩ. უბ. ავჭალის წყალსადენი—1—65, 4—1.

1 საარჩ. უბანი, ქართული უნივერ. 1—167, 2—56, 3—0, 4—0, 5—69, 6—0, 7—0, 8—2, 9—2.

მე-5 საარ. უბ., გუნიბის ქ.—1—266, 2—99, 3—0, 4—1, 5 - 58, 6—0, 7—1, 8—27, 9—3.

მე-10 საარჩ. უბ., საოლქო სასამარ. შენ.—1—535; 2—160; 3—7; 4—11; 5—166; 6—0; 7—7; 8—17; 9—6.

მე-12 საარ. უბან. საქალაქო სასწავ. 1—354; 2—95; 3—1; 4—45; 5—50; 6—0; 7—0; 8—8; 9—21.

მე 17 საარ. უბ. მუსულმანთა აუდიტორია—1— 33, 2—0, 3—0, 4—10, 5—9, 6—0, 7—2, 8—0, 9—7.

მე-18 საარ. უბ. პუშ. საქ. სკოლა. 1—346, 2—8, 3—0, 4—2, 5—14, 6—0, 7—3, 8—8.

მე-22 საარ. უბ. ტერ-აბრამოვების კანტორა, კახ. ქ.—1—254, 2—0, 3—0, 4—1, 5—2.

მე-23 საარ. უბ. კახეთის ქ. № 46—1—36. სხვა პარტიებს არც ერთი ხმა რა მიუღია.

მე-31 საარ. უბ. კახთის ქ.—1—263, 2—2, 3—0, 4—0, 5—5, 6—0, 7- 3.

მე-32 საარ. უბ. მაღაკნების სკოლა, დეს. მოედ. 1—208, 2—36, 3—1, 4—4, 5—25, 8—4, 9—3, 6—0, 7—0.

მე-33 საარ. უბ. მეოთხე სასამართ. მომრიგებელ.—1 344, 2—25, 3—0, 4—2, 5—22, 6 0, 7—0, 8—0, 9—3.

მე-34 საარ. უბ. 19 თებერ. ქუჩა—1—499, 2—83, 3—0, 4—15, 5—70, 5—0, 7—3, 8—4, 9 - 5.

მე-36 საარ. უბ. მუშათა კლუბი, ერთობის უბანი—1—2010, 2—160, 3—0, 4—0, 5- 238, 6 0, 7—201, 8—0, 9—0.

მე-39 საარ. უბ. სახელ. კლ. შენ. მიხეილის ძე ქ.—1—191, 2—63, 3—0, 4—1, 5—35, 6—0, 7—0, 8—1, 9—12.

მე-41 საარ. უბ. ენფიანჯიანცის ქარხანა - 1 - 748, 2—79, 3—5, 4—2, 5—79, 6—0, 7—10, 8—3, 9—8.

მე-42 საარ. უბ. ქართული კლუბი მახ. ქ—1—322, 2—71, 3—0, 4—13, 5—37, 6—0, 7 2, 8—0, 9—5.

მე-43 საარ. უბ. ზუბალ. სახ. სახლი კიროჩნი ქ—1—267, 2—97, 3—5 4—3, 5—57, 6—3, 7—5, 8—11, 9—25.

მე48 საარ. უბ. რკინის გზის სასწ. ქ.—1—137, 2 38, 3—0, 4—0, 5—25, 6—0, 7 8, 8—0, 9—0.

მე-50 საარ. უბ. საჯირითო მოედანი—1—502, 2—32, 3—0, 4 3, 5—10, 6—0, 7—6, 8—4.

## საქ. რესპუბლიკის ექიმთა პროფესიონალური კავშირი.

26 და 27 იანვარს მოხდა შეერთებული კრება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა და ქუთაისის გუბერნიის ექიმთა პროფესიონალური კავშირის დელეგატებისა. განზრახული ყრილობა საქართველოს რესპუბლიკის ყველა ექიმთა ვერ მოხდა, რადგან, როგორც შეგვატყობინეს,

[...]ონფერენციაში საშინლად მძვინვარებენ [...]რული ხნეულებანი. ჩამოვიდნენ [...]აისიდგან მხოლოდ დელეგატები [...]აისის გუბერნიის პროფესიონალურ[...] კავშირისა. ამიტომ ყრილობის [...]ორგანიზაციო კომიტეტი იძულებუ[...] იყო გამოეცხადებინა შეერთებული [...]ბა თბილისისა და ქუთაისის ზემო[...]ნიშნული კოლექტივებისა, რათა ამ [...]ბაზე მაინც გადაწყვეტილიყო ზო[...]ერთი მწვავე და ამავე დროს სასწ[...]ფო საკითხები. თავმჯდომარედ არ[...]ულ იქნა ქუთათური დელეგატი, ექ. [...]არაშვილი. დღიურ წესრიგში იდგა [...]ითხი საქართველოს რესპუბლიკის [...]მთა პროფესიონალური კავშირის [...]რსების შესახებ. მომხსენებელი [...]. ექ. ალ. მაღალაშვილი. კამათი [...]მოიწვია კითხვამ: სრულ უფლებია[...] თუ არა კრება დააარსოს საქარ[...]ელოს რესპუბლიკის ექიმთა პრო[...]სიონალური კავშირი. ნაწილი ორა[...]ორებისა (ექ. რუხაძე) უარჰყოფდა [...]ების ამ უფლებას და წინადადებას [...]ლოდა აერჩიათ ამ კრებაზე მხო[...]დ საორგანიზაციო კომიტეტი, რო[...]ლიც მოიწვევს საქართველოს ექიმთა [...]ლეგატების ყრილობას. მაგრამ უმ[...]ვლესობამ მიიღო მხედველობაში, [...]მ თანამედროვე მომენტი მოითხოვს [...]ართველოს ექიმებისაგან მჭიდრო [...]კავშირებას პროფესიონალურს ინ[...]რესებისა და მოვალეობის ნიადაგზე, ხოლო ეს შეკავშირება უნ[...] მოხდეს რაც შეიძლება მალე. ამი[...]მ კრებამ გადაწყვიტა დაარსება [...]ართველოს რესპუბლიკის ექიმთა [...]როფესიონალური კავშირისა, ამოირ[...] დროებითი აღმასრულებელი კო[...]ტეტი 5 პირისაგან შემდგარი (მეუ[...]გია, ლომოური, ელიაშვილი, ალ. [...]ღალაშვილი, მიქელაძე. კანდიდატე[...]ბი: თიკანაძე, მუსხელიშვილი). ხსე[...]ბული კომიტეტი დროებით ასრუ[...]ბს პროფესიონალური კავშირის [...]როს ფუნქციებს, შეიმუშავებს [...]ვრობის წინაშე წესდების პროექ[...]ს დამტკიცების შესახებ და ბოლოს [...]ლს უწყობს წესდების განხორციე[...]ბას ცხოვრებაში. ახლო მომავალში [...]ი მოაწყობს საქართველოს რესპუბ[...]კის ექიმთა დელეგატების ყრილო[...]. უკანასკნელი აირჩევს მუდმივს [...]მასრულებელ კომიტეტს და არსე[...]ლს წესდებას შესწორებს და და[...]ტკიცებს.

შემდეგ კრება შეუდგა წესდების [...]უხლობრივ განხილვას.

[...]ცხარე კამათი გამოიწვია წესდების [...]მ მუხლმა, რომელიც შეეხება კავშირის [...]საიურისდიქციო უფლებას. ამ მუხლის [...]ძალით ყველა ექიმი, რომელიც ეწევა [...]როფესიონალურ საქმეს საქართვე[...]ლოს რესპუბლიკის საზღვრებში, ვალ[...]დებულია ირიცხებოდეს კავშირის წევ[...]რად, იგი ყოველს თვის უკანონო მოქ[...]მედებაში პასუხს აგებს კავშირის წი[...]ნაშე როგორც მორალურად აგრეთვე [...]იურიდიულად და ბოლოს ვალდებუ[...]ლია დაემორჩილოს კავშირის ყოვე[...]ლ გადაწყვეტილებას. ნაწილი ორა[...]ტორებისა (ელიაშვილი, მიქელაძე, [...]უხაძე, მელიქიშვილი) მოითხოვდა, [...]რომ ეს მუხლი სრულიად გამოტოვე[...]ბულიყო წესდებიდგან, ვინაიდგან სა[...]კითხი, რომელსაც იგი შეეხება, რთუ[...]ლია, იგი წარმოადგენს სახელმწიფო[...]ებრივს აქტს და, როგორც ასეთი, [...]პროფესიონალურ ორგანიზაციის კომ[...]პეტენციის გარეშე სდგას. გარდა ამი[...]სა, როგორც ამტკიცებდნენ ზოგნი [...]მუსხელიშვილი, გედევანიშვილი, დ. [...]ავახიშვილი), იგი ზღუდავს პიროვ[...]ნების თავისუფლებას და პროფესიო[...]ნალური კავშირის მორალურ სი[...]ძლიერეს ამტკიცებს. პირიქით უმრავ[...]ლესობა ორატორებისა (ალ. მაღალა[...]შვილი, თიკანაძე, ლომოური, ვირსა[...]ლაძე, ქუთათური დელეგატები) საიუ[...]რისდიქციო უფლების აუცილებლად [...]თვლიან. მათის აზრით საიურისდი[...]ქციო უფლება მხოლოდ ხელს შეუწ[...]ყობს კავშირის ძირითად მიზნების [...]განხორციელებას. ექ. ლომოურს თვი[...]სი აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს [...]პიროგოვის მე-XII ყრილობის ანგა[...]რიში. ხსენებულ ყრილობაზე თვალსა[...]ჩინო ავტორიტეტების მიერ ცნობილ [...]ქმნა პრინციპიალურად საიურისდი[...]ქციო უფლების საჭიროება ექიმთა [...]პროფესიონალურ ორგანიზაციისათვის, [...]ხოლო მისი ცხოვრებაში გატარება— [...]მაშინ, როცა დამყარდება დემოკრა[...]ტიული რესპუბლიკა.

კრებამ ხმის უმეტესობით აუცილე[...]ბელ საჭიროებად სცნო საიურისდიქ[...]ციო უფლების მოპოვება, დაავალა [...]აღმასრულებელ კომიტეტს შუამდგომ[...]ლობა მთავრობის წინაშე ამის შესა[...]ხებ და წესდებაშიც შესაფერი მუხლი [...]შეიტანა.

შემდეგ მსჯელობა იყო კავშირის [...]სარეკომენდაციო უფლების შესახებ. ამ მუხლის ძალით პროფესიონალური კავშირი სასურველად ხთვლის, რომ სხვა და სხვა დაწესებულებებმა, როცა ექიმს ნიშნავენ ამა თუ იმ ადგილზე, ანგარიში გაუწიონ კავშირის კომპეტენტურ აზრს, კანდიდატის შესახებ, მეტადრე მაშინ, როდესაც ადგილი საპასუხისმგებლოა.

კამათი გამოიწვია კიდევ საკითხმა ექიმის რამოდენიმე ადგილზე სამსახურისა. კრებამ მიიღო პრინციპიალური გადაწყვეტილება. რომ ყოველ ექიმს ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილი. მიზანი ხსენებული გადაწყვეტილებისა არის სამართლიანი განაწილება ადგილებისა, რათა შემდეგში ადგილი არ ჰქონდეს ნათლიმამობას, რის მეოხებით იმ დროს როცა ერთი ექიმი განცხრომაშია, მეორე, ხშირად გამოცდილი და სასარგებლო პიროვნება სიმშილს განიცდის.

დანარჩენი მუხლები წესდებისა უკამათოდ იქმნა მიღებული.

მდივანი, ექ. მ. წინამძღრიშვილი.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

## გერმანული პრესა.

### გერმანიის ახალშენები.

გერმანიის ახალშენების გადაცემა გერმანიაში დიდ უკმაყოფილებას იწვევს. უკმაყოფილება ემჩნევა მათაც, ვინც წინააღმდეგი იყო გერმანიის პოლიტიკის ახალშენებში, დემოკრატები აცხადებენ, რომ მოკავშირეთ შეეძლოთ ჩამოერთმიათ ახალშენები გერმანიის ძველ ხელმძღვანელებისგან, მაგრამ ახალ გერმანიისგან და სხვისავე კი არა გერმანიის რესპუბლიკანელებმა დაამხეს გერმანიის იმპერია და ახლა არ უნდა გაამაგრონ მონარქისტთა ოპოზიცია, რომელნიც იტყვიან, რომ გერმანიას შერჩენოდა ახალშენები, რომ რესპუბლიკანელთ არ დაექცოთ იმპერია. ეროვნულმა ყრილობამ ერთხმათ უნდა დასტიროს, რომ ახალშენების გადაცემა არ შეესაბამება ვილსონის პროგრამას.

### გრაფ ბერნშტორფი

გარეშე საქმეთა ყოფილმა ატაშემ გრაფ ბერნშტორფმა კიდევ დასტოვა თავის შტაბის ნაწილით. უკრაინაში გერმანიის ატაშათ დაინიშნა დ-რი მეისნერი.

### ნაციონალურ ყრილობის წინააღმდეგ

11 და 15 საარმიო კორპუსების ჯარის კაცთა საბჭოებს ქონდათ საერთო კრება გიზენაში და 62 ხმით, 52 წინააღმდეგ, დაადგინეს არ დაიცვან ვეიმარში ნაციონალური ყრილობა რეზოლიუციაში აგრეთვე გამოთქმულია უარი ვეიმარში გვარდიელთა ნაწილების გაგზავნის შესახებ.

### გოტა

გაზეთების ცნობით გოტა ამ ჟამად დამოუკიდებელ ს.-დ. ხელში იმყოფება.

### ბერლინის კომუნისტები

როგორც ახლა ირკვევა, იანვრის 27 დამოუკიდებელი ს.-დ. ადოლი გლობაში ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში ფართო კრებას თავმჯდომარეობდა და მოითხოვდა, რომ აუცილებლად საჭიროა საბჭოთა სისტემის შენარჩუნება. გაზეთები აღნიშნავენ, რომ კომუნისტებს ბერლინში იარაღის დიდი საწყობი აქვთ და თებერვლის 6-თვის ეროვნული ყრილობის გახსნის დღეს მოსალოდნელია ახალი აჯანყება, მთავრობა შესაფერისათ ემზადება, ბერლინისა და ვეიმარში წესიერების უზრუნველსაყოფად და იმედი აქვს, რომ ჩააქრობს ყოველივე გამოსვლას, რომელსაც წესიერების დარღვევა ექნება მიზნათ.

### ფრანგის პროპაგანდა

რადგანაც ფრანგები პროპაგანდით სცდილობენ შეთანხმების სახელმწიფოთა საზოგადოებრივი აზრი შეცდომაში შეიყვანოს გერმანიაში ვილსონისადმი მეგობრულ განწყობილობის გაძლიერების შესახებ, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ასეთი განწყობილება ხელოვნურათ კი არ არის გამოწვეული, არამედ გერმანიის ხალხის რწმენით, რომ ამერიკას აქვს სურვილი და ძალა ზავის საქმეში ჩამოგდებისა. ვილსონის შესახებ, როგორც ასეთი პიროვნების, რომელიც პირველ როლს თამაშობს, აზრის გამოცვლა აიხსნება მით, რომ გერმანიის პოლიტიკა ხალხთა ლიგის სასარგებლოთ გადაიხარა.

ყველა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ პარტიათა ლიდერები მხარს უჭერენ ხალხთა ლიგას, არა სანტიმენტალურ პოლიტიკის გამოისობით, არამედ იმ რწმენის გამო, რომ ხალხთა ოჯახში შესული გერმანია თავს დააღწევს კომუნისტურ ანარქიას.

### ბათუმი

მასლოვი თარეშს განაგრძობს. ყოველ დღე ახალ ახალი სიურპრიზები. საოლქო საბჭო ერთს ადგენს,—მეორე-მესამეს. დღეს მასლოვის მოხსენების თანახმათ გუბერნატორი საბჭოს დადგენილებით სრულიად წინააღმდეგ ბრძანებას ცემს. 29 იანვარს საოლქო საბჭომ გადასწყვიტა საქალაქო არჩევნები საყოველთაო ყოფილიყო. 31 იანვარს ქალაქის თვითმართველობამ ბრძანება მიიღო შეადგინოს ახალი საბჭო ნაციონალურ საბჭოებიდან გამოგზავნილ პირთაგან. საფუძვლათ დაედება 1917 წლის ივლისში მომხდარი სამეურნეო აღწერა. როცა ქართველები საზოგადოთ ყველაზე მცირე იყო სხვა ეროვნებასთან შედარებით—9530 კაცი მაჰმადიან ქართველებთან ერთად. გუბერნატორის განკარგულებით ყველა ქართველს ეძლევა 15 ხმოსანი, ერთ მესამედზე ნაკლები. ვინაიდან ხმოსანთა რიცხვი მიღებულია 60 და რადგან მასლოვის აზრით ქართველი მაჰმადიანები შეადგენდენ ყოველთვის ნახევარზე ცოტა ნაკლებს ქართველებზე, ამიტომ 16 ხმოსნიდან ათი ქართველი და ექვსი მაჰმადიანი უნდა იყოს, ეს უსამართლობა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. მიზეზად ქალაქის საბჭოს ამ გვარად შედგენისა ასახელენ არჩევნების მოსახდენად დროს უქონლობას, საყოველთაო არჩევნების მოსახდენ ხარჯების და ახლათ ჩამოსულთა სიმრავლეს. გუშინ მოხსენდა ეს ბრძანება ქალაქის საბჭოს, მაგრამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ მისი შეცვლა და გაუქმება არ შეიძლება ამიტომ საბჭომ მსჯელობა არ ქნა, მხოლოდ გამგეობას დაევალა ბრძანების ზოგიერთ გაუგებარ მუხლების ახსნა-განმარტება მოითხოვოს, რადგან ხმოსანთა არჩევნების ამ გვარი კანონი არავინ იცის.

### სოციალისტურ კონფერენციაზე

მოკავშირეთა შორის ტრედ უნიონების კონფერენციის სხდომაზე თებერვლის 1 ამერიკის და ბელგიის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი ბერნში სოციალისტურ კონფერენციაზე არ წავლენ, პარიზში დარჩებიან საერთაშორისო კონფერენციის მოსაწყობად და გერმანელებთან მოლაპარაკებას გამართვენ მხოლოდ საზავო ხელშეკრულობის ხელის მოწერის შემდეგ, მიუხედავად ამისა ეცდებიან, ყველა ქვეყნის მუშათა სასარგებლოდ პირობები იქმნეს მიღებული. საფრანგეთის შრომის სამინისტროს მდივანმა ჟუომ განაცხადა, რომ მუშათა ხელშეკრულების შემუშავებაში ყველა ქვეყნებმა უნდა მიიღოს მონაწილეობა და დაუმატა თუმცა ვწუხვარ, რომ ამერიკის და ბელგიის დელეგატები ბერნის კონფერენციაზე არ მიდიან, მაგრამ საფრანგეთის შრომის საერთო კონფერენცია მაინც წავა ბერნში.

### ბოლშევიკების შეტევა

რუსეთიდან იუწყებიან, იანვრის 29 და 30 არხანგელის რკინის გზაზე ტარასოვთან ბოლშევიკებმა დიდი შეტაკება დაიწყეს. ჩვენს წინააღმდეგ მოკავშირეთა ჯარი იძულებული იყო ჩრდილოეთისკენ უკან დაეხია ტარასოვი. ჩრდილოეთით 30 მილის სიშორეზე ბოლშევიკები მხრჩოლავ გაზებს ხმარობენ მოკავშირეთა ჯარის წინააღმდეგ. მურმანის მხარეში მოხალისე გორელთგან შემდგარი ჯარი მოკავშირეთა მოწინავე რაზმი ამ ჟამად ხარკოვიდან 20 მილის სიშორეზე იმყოფება ეს სოფელი ცენტრია სადაც გორელები შესძლებენ მოაგროვონ მოხალისენი ბოლშევიკებისაგან თავის ქვეყნის დასაცავად.

### ამერიკის ჯარების დემობილიზაცია.

ვაშინგტონიდან იუწყებიან: გენერალმა მარშმა განაცხადა, რომ ამერიკის ერთ მილიონზე მეტი ჯარის კაცი უკვე გაშვებულია სახლში.

### ბალშევიკური ცნობები.

(ც. ა. კ. ბექდვითი ბიუროს ბიულეტენი).

### ბრემენში.

**ნაუენი.** თებერვლის 2. ბრემენის მეთაურები მზათ არიან ჩამოართვან იარაღი მუშებს და ბრემენში დაბინავებულ 3—75 პოლკს გადასცენ. თავის მხრით ბრემენელები თხოულობენ, რომ გესტინბერგის დივიზია დაუყოვნებლივ უკანვე იქნას გაძახებული. ნოსკემ ცენტრალურ მთავრობის სახელით მიმართა ბრემენის სახალხო რწმუნებულებს თხოვნით არ გასწიონ წინააღმდეგობა- ბრემენის კომუნისტები მოუწოდებენ მუშებს დახურონ ბურჟუაზიული გაზეთები. აწყობენ ნავთსადგურის მუშებს შორის სპარტაკულ მოძრაობას. გერმანიის ქალაქებში მოდის ამერიკელთა კომისია ეკონომიური მდგომარეობის გამოსარკვევათ. ფრანგული გაზეთი „ჰუმანიტე“ სწერს: მოკავშირე იმპერიალისტები რამოდენიმე წლის განმავლობაში იბრძოდენ ვითომდა სამართლიანობისთვის, ეხლა უნდათ გერმანიის ახალშენები ხელთ იგდონ, რომლების ექსპლოატაციას ისეთივე ბარბაროსული წესით მოახდენენ, როგორც გერმანელები.

### სურსათი გერმანიაში

**ჰელსინგფორსი-დან** მოსული ცნობით, სურსათი გერმანიას ეყოფა 15 მაისამდე.

### დემობილიზაცია ინგლისში.

31 იანვარს დასრულდა დემობილიზაცია 22,000 ოფიცრის და 556,000 ინგლისელ ჯარისკაცისა. ამის შემდეგ მრავალი განცხადება მოდის ოფიცერთაგან და ჯარისკაცთაგან, რომელთაც ჰსურთ ისევ შევიდნენ სამხედრო სამსახურში.

**შტეტინეში** გაფიცვებია. ქალაქი უსინათლოდ და უწყლოდ დარჩა.

### რუსეთის ყველა მთავრობის მოწვევა.

**მოსკოვი.** თებერვლის 3. პარიზიდან მოსული რადიო დეპეშაზე, რომელიც იუწყება გადაწყვეტილებას მოიწვიონ რუსეთის ყველა მთავრობა პრინცის კუნძულებზე, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა მიმართა სტოკჰოლმში ბაროვსკის და „პოპიულერი“-ის რედაქციას თხოვნით შეატყობინოს და პასუხი გასცეს (დამახინჯებულია) შეკითხვებზე. სახალხო კომისარი აღნიშნავს, რომ ასეთი მოწვევა მთავრობას არ მიუღია. სპეციალური კომისიის მიზნები პარიზის რადიო დეპეშაში არ არის გამორკვეული. იქ, სადაც განმტკიცებულია საბჭოთა მთავრობა, დამარცხდა კონტრ-რევოლიუცია და ყველგან სიწყნარეა. იქ, სადაც უცხოელების ხიშტების წყალობით მეფობს რეაქციონური წრეები, სამოქალაქო ომი გრძელდება. ერთად ერთი საშუალება ბოლო მოეღოს ასეთ მდგომარეობას ის არის, რომ კონტრ-რევოლიუციონერებს მოესპოს დახმარება ვარუდან.

ამ შემთხვევაში შუამავლობა შეუძლებელია, რადგან წინადადებას იძლევა ის მთავრობები, რომლებიც ფაქტიურათ მონაწილეობენ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში და რომელთა ჯარს უჭირავს ჩვენი ტერიტორიის ნაწილი. ბრძოლის შეჩერების წინადადება არ წამოუყენებიათ იმ დროს, როცა საბჭოთა რესპუბლიკას არ ყავდა საკმაო ძალა. წინადადება წამოაყენეს იმ დროს როცა კონტრ-რევოლიუცია სულს ღაფავს. რადგან ბოროვსკის საშუალება ქონდა შეესწავლა ჩვენთვის მიუწვდომელი საიმფორმაციო მასალა, ნარკომმა განსაკუთრებით სთხოვა ეუწყებინა, მართლა სურთ თუ არა არხანგელის, ციმბირის, ბაქოს, ასხაბადის და დონის როსტოვის ანექსია მიაღწია თუ არა ამ რადიომ დანიშნულებისამებრ, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ პარიზში მყოფი მაკლაკოვი, თავის ინტერვიუში ამერიკელ ჟურნალისტთან, ამბობს: „ჩეჩერინი საზავო კონფერენციაზე მოწვევის საპასუხოთ მოითხოვა გარანტია და დაწვრილებითი გახმარტება. რადგან ხარკომის საგარეო საქმეთა ხელმოწერით სხვა საბუთი არ გაგზავნილა, ცხადია, რომ სწორეთ ამ რადიომ მიაღწია მაკლაკოვამდე, რომელიც პარიზში იმყოფება, და მაშასადამე საფრანგეთის მთავრობამდე. ამის გამო საბჭოთა საგარეო სამინისტრომ 31 იანვარს პიშონის სახელზე გაგზავნა რადიო, სადაც აღნიშნავდა რომ გარანტიების მოთხოვა მიმართული იყო საფრანგეთის მთავრობისადმი და არა გაზეთისადმი. ამ საკითხზე მას არავითარი საბუთი არ მიუღია და საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო წამოეყენებია მოთხოვნილებანი და არ შეეძლო გაეცა პასუხი რუსეთის მთავრობის მოწვევაზე, რადგან ასეთი წინადადება მას არ მიუღია“.

**სამარა,** თებერვლის 8. ციმბირიდან დაბრუნებული იუწყება, რომ ბრძოლა სემიონოვსა და კოლჩაკის შუა გრძელდება. ცნობაა, რომ ირკუტსკი სემიონოვმა დაიჭირა.

იაპონიამ თავისი ჯარი ციმბირიდან გაიწვია. არც სემიონოვს და არც კოლჩაკს არ დახმარებია. სიძვირე იზრდება. მუშები ყველგან საბჭოთა მთავრობის მხარეზეა.

# ჰიგიენური მუსაიფი

რუსეთის ცნობილი ემიგრანტი ჰერცენი ხშირად ოხუნჯობდა: „სიღარიბე მანკი კი არა, დიდი ღორობა არისო“. ასე თუ ისე, ჰერცენის თქმაში დიდი სიმართლეა. სიღარიბეს, გარდა უცოდინარობისა, ხშირად დიდი სიბინძურეც მოსდევს რაც არა ჰიგიენური მოვლენაა. ხშირად ბევრი რამესათვის სიმდიდრეც არის საჭირო. ჩვეულებრივ დროს ადამიანს წყალი ყოველთვის ბლომად მოეპოვება, საპონიც ეშოვება, მაგრამ იგი ამ თითქმის უფასო ბუნების საჩუქრით არ სარგებლობს. ზოგი მთელი წლის განმავლობაში საცვალს არ იცვლის, უნდა უცადოს სანამ სრულებით ტანზე არ შემოაცვდება, თავსაც არ იბანს ხშირად, არ იბანს ტანს და რაღა თქმა უნდა, ეს სიზარმაცის და შეუგნებლობის შედეგია უფრო, ვიდრე სიღარიბისა. აგვილოთ თუნდ აცრის საქმე ჩვენში. აგერ საუკუნოზე მეტმა განვლო, რაც დჟენნერმა შემოიღო ყვავილის აცრა. ამ აღმოჩენას შემდეგში მოჰყვა აღორძინება მთელი მეცნიერების დარგისა, შრატით ექიმობა (seroterapia), რომლის წყალობით ჰიგიენამ შეგვძინა სხვა და სხვა გადამდებ სენთან ბრძოლისთვის უებარი საშუალება, როცა მომავალში დიდ ადგილს დაიჭერს ექიმობაში და წამლობის საჭიროებას დიდად შეამცირებს. ყვავილის აცრა მუქთად ან გროში ჯდება. განა შეიძლება ვთქვათ, რომ ყვავილის აცრა ჩვენში ძლიერ მიღებულია- არა და არა. ხშირად შეხვდებით ინტელიგენტებს, რომ ყვავილში გამოვლილი არ არიან და არც აცრილი აქვთ. ამ ორი წლის წინედ, ყვავილის ეპიდემია რომ იყო, ბევრი ინტელიგენტიც კი ყვავილისაგან გამოესალმა წუთისოფელს, რადგან მათ ყვავილი არ ჰქონდათ აცრილი, ან თუ ჰქონდათ აცრილი, პატარობას, განმეორებით არ აეცრათ და ამას კი, როგორც დამტკიცებულია, დიდი მნიშვნელობა აქვს. განათლებულმა ქვეყნებმა არც კი იციან ყვავილი, თუ სხვა უკულტურო ხალხისაგან არ ეწვევათ იგი. ჩვენში კი საუბედუროდ სახადზე შეხედულება კიდევ ისევ თეოლოგიურს ან მეტაფიზიკურს შეხედულებას განიცდის *) სახადი დღესაც ხალხის თვალში რაღაც ღვთაებრივი არსი არის, რომელსაც ბოდიშის და ვედრების მეტი არა გაეწყობა. ამგვარს შეხედულებას მარტო სოფელში კი არა, ქალაქშიაც ვხედავთ დღეს. საუბედუროთ, სხვა და სხვაგვარ გადამდებ სენთან, რომელიც სხვა უბედურებასთან ერთად გვითავაზეს ჩვენ უმადური სომხების ლტოლვილებმა, ყვავილიც ვრცელდება ჩვენში და ყვავილს რაღაც ხანტად იცრიან ჩვენში და ამ გარემოებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

თბილისშიც შეგხვდებათ იმისთანა ქართველი ოჯახები, რომლების დაჯეოგბას დიდი მრომა უნდა, რომ ყვავილის სახელით ბატონები მხოლოდ სახელია და არავითარი ღვთაებრივობა არ აოის მასში, საჭიროა მხოლოდ ავათმყოფების გახიზვა საავათმყოფოში, სახლის და ტანსაცმელის დეზინფექცია და სხვა, მაგრამ ყველა ეს ამაოა, სანამდისინ მთელი ოჯახობა თითქმის არ ამოწყდება. მერმე დაგიჯერებენ, მაგრამ გვიანღაა. ამ გვარათ ცრუმორწმუნებას ძრიელ ნელნელა ეცლება ჩვენში ნიადაგი. სახადზე შეხედულება დაბალ ხალხში დღესაც თითქმის იგეთივეა, როგორც ამ 40—50 წლის წინეთ. მე კარგათ მახსოვს. როგორ გავხდი ავათ წითელათი. სიცხე მაბოდებდა და მელახდებოდა ის, რაც სინამდვილეში ვხახე: მინდვრები, ჩიტები, მეხრე და სხვა. მაგრამ ჩემი მახლობლები ყოველ ამას ბატონების ნებისყოფას აჯერდენ და ბატონების დასამშვიდებლათ საჭირო შეიქმნა მეხრის მოყვანა ჩემთან; მეხრე მუხლმოდრეკილი მოფორთხავდა ჩემი ლოგინისაკენ და სასოებით მოწყალებას გმუდარებოდა გამძვინვარებულ ბატონ—წითელას. ამ გვარი თეოლოგიური ან მეტაფიზიკური შეხედულობა გადამდებ სენზე მარტო ჩვენში როდია, ბევრი ერის შეხედულებაში, მეტადრე ბიბლიაში, ავადმყოფობა ღმერთისაგან ნაბოძებია (წიგნი იობის), მერმე, როგორც ეს შეხედულება ჩვენს ხალხშია შენიშნული, მეტაფიზიკურ ხანაში გადადის. ბოლო ხანებში მეცნიერებამ წამოაყენა ნამდვილი პოზიტიური ხანა დაკვირვებაზე და ცდაზე დამყარებული. ამა თუ იმ ბაცილამ დაიკავა არსის ადგილი.

მდაბიო ხალხში წითელას, ყვავილბატონებს ეძახიან და დიდის მოწიწებით ებოდიშებიან—ბატონები არ გავაჯავროთო. კარგია ავათმყოფის გართობა მუსიკით, „მობოდიდება“ როგორც მშვენიერი საშუალება ავათმყოფის ნერვებს დასამშვიდებლათ. ხალხში ხშირად მეცნიერულ წინმჭვრეტელობას ვხედავთ. დღეს ბევრმა იცის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ექიმობაში ზოგიერთ სხივებს. ჩვენში ყვავილით ავათმყოფს [illegible] ულებავენ წინწილებს, ქათმებს, სათამაშოებს, ფანჯრებს ვარდის ფერ ფარდებს აფარებენ. დიდი ხანი არ არის რაც ფრანგულ ჟურნალში Semoune médicale-ში იყო ვრცელი წერილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყვავილის ექიმობაში, კანის დაჩირქების მსვლელობაში ვარდის ფერის სხივებს ფანჯრებზე ვარდის ფერ ფარდების ჩამოფარებას. ამ გვარათ ჩვენმა ხალხმა დიდი ხანია ინსტინქტურად შეიგნო ის, რაც დღეს მხოლოდ მეცნიერებას უცვნია. და მხოლოდ ეს სიბრძნეა მიზეზია, რომ ჩვენში—მეტადრე დასავლეთ საქართველოში ვერ შეხვდებით ყვავილისაგან დასახიჩრებულს, დაბრმავებულს და ერევანში წასვლა არ დაგჭირდება, აქაც ბევრს სომეხს, ერევნიდან მოსულს ნახავთ ყვავილისგან ძლიერ დასახიჩრებულს. ამ გვარი მაგალითები სხვებიც ბევრია. შრატის ხსენებაც არ იყო, რომ ჩვენმა ხალხმა გაიგო მორიელის შხამის საწინააღმდეგო საშუალება. მორიელის შხამი საშიშელება რამ არის. ეს შხამი, რომელიც დიდ ცხოველსაც რამოდენიმე წუთში სიცოცხლეს უსპობს, თვით მორიელსაც სიკვდეს არ დააყრიდა, რომ ბუნებას თვით შხამის მატარებლის აგებულობაში საწინააღმდეგო გესლი არ გაეჩინა, არ გაეჩინა სხეულში შრატის მსგავსი ნივთიერება—ანტიტოქსინი. ხალხი მიხვდა ალღოთი ამას და ინახავს მორიელს ზეთში, ზეთში გამოდის ეს შრატი ანუ ანტიტოქსინითაც მორიელის ნაკბენის უებარი საშუალებაა. რადგან ხალხი ეგეთი ბრძენი ყოფილა, მრავალი ბრძნული შეხედულობა ჰქონია, ამგვარი მსოფლმხედველობა უფრო ადგილათ ხდის მეცნიერულ შეხედულების მეტანას მასში, გვიადვილებს ცრუმორწმუნეობის მოსპობას და ყალბი შეხედულობის მაგიერ ნამდვილი მეცნიერული და ჰიგიენური ცოდნის გავრცელებას. ჩვენია ხალხმა იცის, თუ რა უბედურებას წარმოადგენს გადამდები სენი, მაგრამ არ ერიდება მას, მოურიდებლობის გამო ავრცელებს სასლში და გადააქვს იგი სხვა ოჯახებშიც. ამ გვარი საქმის ვითარება მისთვის არის სავალალო, რომ ჩვენი გამრავლების საქმე სხვა და სხვა პირობის გამო დიდს საფრთხეშია. ჩვენის შეხედულობით სხვა და სხვა გარემოებაც, რაც გამოკვლევის და შესწავლის ღირსია, ჩვენში დიდათ დასწვია ეგრედ წოდებული თავის დაცვის ინსტინქტი, რომელიც ესოდენ მტკიცე თვისებას შეადგენს ყოველი სულდგმული არსებისათვის, თუ თავის დაცვის ინსტიქტს ერთის დაკვრით ვერ გავაღვიძებთ ჩვენში, ერთი მაინც ადვილად შეგვიძლია, შეგვიძლია ზოგი ჰიგიენური ჭეშმარიტება ხალხში გავავრცელოთ, რის წყალობით არა ერთი ათასი მოზარდი თაობა გადაურჩება სიკვდილის კლანჭებს, არა ერთი გადაურჩება სენს დაუმახინჯებელი და დაუაადებული. განა იმ გადაჭარბებულ ღვინის გადაჭარბებულ სმას ჩვენში რომ ჩვეულებათ არის გადაქცეული, ცოტა გავლევა აქვს ჩვენზედა შთამომავლობის ჯანმრთელობაზე? მოვიგონოთ, რამდენი ახლად დაბადებული შეგვიძლია გადავარჩინოთ დაბრმავებისაგან, თუ ჩვენ მოვუვლით ახლად დაბადებულის თვალებს შესაფერისი ზომების ხმარებით რამდენის გადარჩენა შეგვიძლია ჩვენ ხუნაგისაგან შრატის ხმარებით და ასე ბევრი სხვა. როგორც ზევით ვამბობდი ჩვენს ხალხში თავის თავის დაცვის ინსტინქტი როდია ძლიერ განვითარებული და შეიძლება ეს გარემოება მით არის მანუგეშებელი, რომ ეს ნიშნავს ქართველი ერის მამაცობას, რაინდობას. ჩვენში ხშირად გაიგონებთ—სულ ერთი არ არის განა დღეს თუ ხვალ მოკვდები, ხომ მაინც უნდა მოკვდეო. აგეთი შეხედულება სიცოცხლეზე, რაღაც ღვთაებრივი არსის გარევა ჩვენს ცხოვრებაში და მისი „ბატონობა“ პირდაპირ გამანადგურებელია ჩვენი ჯანმრთელობის და გამრავლების შემფერხებელია.ამავე დროს პირადი ინტერესიც თავს იჩენს ხოლმე. თუ თქვენგან ვისმეს საფრთხე მოელის, თქვენ თავს არ იწუხებთ ეს საფრთხე სხვას ააცილოთ. მაგ. თქვენს სახლში საშიშო სენია; იცით რომ ის გადამდებია, მაგრამ არ იშლით იაროთ სხვის ოჯახში, ატარებთ სხვებისას თქვენს ავათმყოფს. ჰლექიანმაც იცის, რომ იგი სხვებისათვის საშიშოა, მაგრამ ის მაინც ყოველგან იფურთხება, იფურთხება თავის სახლში და სხვაგანაც, იმდენათ ეგოისტია იგი თითქოს ასე ფიქრობს: „მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ გვარ ეგოისტურ შეხედულებას შესაფერისი უგულობა უნდა მოჰყვეს საზოგადოების მხრით, რაც, თუ კარგათ ჩავუფიქრდებით საზოგადოების მხრით მხოლოდ თავის დაცვა იქ-

*) ოგიუსტ კანტის შეხედულება, რომ ყოველი მეცნიერება თან და თან განივლის სამ ხანას—თეოლოგიურს, მეტაფიზიკურს და დადებითს (პოზიტიურს).

ნება. ბევრად უმჯობესია კერძო კაცი საზოგადოებას უფრთხილდებოდეს და ზოგავდეს და საზოგადოება კი კერძო ადამიანისათვის მზრუნველობდეს. ამ გვარადვე უნდა უფრთხილდებოდენ ერთი მეორეს საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფები ან როგორც იტყვიან დღეს კლასები. ამას წინეთ პარიზმა ისარგებლა თავისი სიმდიდრით და მცხოვრებლების სიმრავლით, თითქმის მუქთად შეიძინა მახლობელ მცხოვრებისაგან წყაროები. მოტყუებულმა სოფლელებმა სამაგიერო იმით გადაუხადეს პარიზელებს, რომ სიბინძურეს მორიდებლათ და უხვათ ატანდენ წყაროებს, რის გამო პარიზში გადამდებმა სენმა, მაგალითად მუცლის ტიფმა, შესამჩნევათ იმატა. რა თქმა უნდა გადამდები სენი, პარიზიდან ახლობელ სოფლებსაც ხომ ეწვეოდა ამგვარი შედეგი ხშირად მოჰყვება ხოლმე ზოგი ადამიანს ან მთელი საზოგადოების მოქმედებას და პირველის შეხედულებით ერთი მეორესაგან ვითომ და დამოუკიდებელი მოვლენანი მჭიდროთ ერთი მეორესთან შეკავშირებულნი და ერთი მეორისაგან დამოკიდებულნი გამოჩნდებიან. კიდეც ამის გამო ზემოხსენებული პარიზის ამბავის მომხსენებელი მეცნიერი პასტერის ინსტიტუტის დირექტორი დიუკლო გვეუბნება: „ამ შემთხვევაში გეოლოგია გვაძლევს ზნეობის გაკვეთილებს“ და ჩვენ კი ამას მოვუმატებთ: საზოგადოებრივი ჰიგიენა ზნეობის გაკვეთილებს იძლევა. ამ გვარი გაუგებრობის და ხშირად ეგოისტური მოქმედების წყალობით სხვა და სხვა სენი უფრო ვრცელდება და კაცობრიობას ანადგურებს. ჭლექის გავრცელებამ ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი კამათი გამოიწვია, იმდენათ გადაქცეულა იგი საერთო შიშათ.

ე. გაშაკიძე.

(დასასრული იქნება)

## ქართველო მამული-შვილნო!

ჩვენი ერი აღსდგა, სამშობლო განთავისუფლდა მონობისაგან.—მისი სუვერენული უფლებები ფოლადის ფარით იცვლება. სისხლის ასოებით იწერება. ეს ფარი ქართველ მხედარს უჭირავს ხელში, კალმის წვერს თავის სისხლში აწობს ჩვენი ჯარისკაცი. ის იცავს კერძო საკუთრებას, სამართალს, წესრიგს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისას შინაური და გარეშე მტრებისაგან.

აი ამ ჯარისკაცთა განსანათლებლად გასავითარებლად, როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივად და ფიზიკურად დაარსდა სამხედრო სამინისტროსთან კულტურული განმანათლებელი წრე გენერალ იოს. გედევანიშვილის თავმჯდომარეობით. მის მიზანს შეადგენს ძველ რუსის ყაზარმებთა სკოლად გადაქცევა, სადაც ქართველთ ასწავლიდნენ იქნება წერა კითხვას; აგრეთვე ჩვენი სათაყვანო მხედართათვის თეატრის მოწყობა, სადაც ისინი განვითარდებიან ესტეთიურად და სხ.

სახელმწიფო უძლურია ყველა ამას გაუძლვეს, ამიტომ მოგმართავთ თქვენ, ქართველებო, გამოუწოდეთ ხელი ამ წრეს, დაეხმარეთ მას ნივთიერად. ბევრს პირადი ბარათი გაეგზავნა, მაგრამ, ვისაც ჩვენ არ ვიცნობდით, მათ ვთხოვთ პატიებას და ქართველური ჯენტლმენობით მოუწოდებთ გაიღონ უხვი შემოწირულობა ამ ფრიად სიმპატიურ საქმისათვის. შემდეგი მისამართით: თბილისი, პორუჩიკი ჩიქვანაიას და ესაკიას გრიბოედოვის ქუჩა ს. № 15 ბინა № 3.

P. S. ყველა ქართულ-რუსულ გაზეთებს ვსთხოვთ დაბეჭდითებით ეს გადაბეჭდოს.

პატივისცემით: პორუჩიკი ჩიქვანაია და პოდ. ესაკია.

## ქართული ოპერა

„თქმულება შოთა რუსთაველზე“.
(მუს. დ. არაყიშვილისა)

შინაარსი ამ ოპერისა აღებულია სვანურ ლეგენდიდან.

ახალგაზრდობაში შოთა რუსთაველს უყვარდა ვინმე ქალი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ საზღვარ გარედ სწავლის დროს დაივიწყა ის და სხვა შეირთო. სამშობლოში დაბრუნებისას შოთა, როგორც სახელოვანი პოეტი თამარ დედოფალმა მიიწვია ნადიმზე, რომელიც გაიმართა საქართველოს ბრწყინვალე განვითარების სადღესასწაულოდ.

სიმხიარულის დროს შოთასთან მივა ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი და გამოუცხადებს: „ყველაფერი ეს კარგია პოეტო, მაგრამ რატომ ყურადღებას არ მიაქცევ რა ხდება შენ სახლში“.

— რას ამბობ ყმაწვილო, ჩემ სახლში ცოდვას რა უნდა.

„წამოდი და შენ თვითონ ჰნახავ თუ რა ხდება“.

გადიან. ფარდა გაჩაღებულია. ამით თავდება პირველი სურათი.

2 ს უ რ ა თ ი.

(ლირიკო-დრამატიული სცენები)

შოთა შედის სახლში სწორედ იმ დროს, როდესაც მისი მეუღლე გადახვეული, შოთას მოსამსახურეს აბდულარაბს, სიყვარულს უცხადებს. ამ სურათის მნახველი შოთა ჯავრმა მოიცვა. ახალგაზრდა ყმაწვილი-კი ანუგეშებს მას. ბოღმისაგან გაშმაგებული შოთა მივარდება ყმაწვილს, რომ მას ეს საქციელი მისთვის არ უნდა ეჩვენებინა. ამით გააუბედურა და ამ სიბოროტის გამო ამოიღებს ხანჯალს მის მოსაკლავათ, მაგრამ დაინახავს ყმაწვილის ხელზე თავის ბეჭედს. ყმაწვილს გადაუვარდება ქუდი და შოთა დაინახავს ქალის თმას. აღმოჩნდა, რომ ეს ყმაწვილი მისი პირველი სატრფო (ნინო).

გამწარებული შოთა მიდის ბერად მონასტერში, ნინო-კი იკლავს თავს შოთას ხანჯლით. ამით თავდება ლეგენდა.

ილ. აბაშიძე.

## დამფუძნებელი კრების არჩევნები

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უფლება მიანიჭა პარტიებს მათი ბიულეტენების მიღებისა და დარიგებისა მაზრაში. ნაწილი ბიულეტენებისა, კანონის ძალით, ყველა ყუთებთან უნდა დარჩეს. დანარჩენი ბიულეტენები უნდა თვით დაარიგონ პარტიებმა, ანუ თუ მათ ამაზე უარი განაცხადეს და ბიულეტენების მიღების შემდეგ ერთი დღის განმავლობაში არ წაიღეს სამაზრო, ანუ საქალაქო კომისიიდან, სამაზრო კომისია თვითონვე უგზავნის ბიულეტენებს სასოფლო კომისიებს. უკანასკნელნი კი დაუყოვნებლივ ურიგებენ ამომრჩეველთ იმ პარტიების ბიულეტენებს, რომელთაც თვითონ არ ფკისრიათ დარიგება.

პარტიებს უფლება აქვთ სამაზრო კომისიიდან ბიულეტენების ერთი ნაწილი გაიტანონ მაზრის ამა თუ იმ რაიონისთვის. ამ რაიონში უკვე კომისიები პარტიის ბიულეტენებს აღარ დაარიგებენ.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სამაზრო ორგანიზაციებს ევალებათ სამაზრო კომისიიდან ბიულეტენის გატანა, ხოლო იმ რაიონებისთვის, სადაც სამაზრო კომისიას სანდო პირები ყავს აჩენილი, ბიულეტენების დასარიგებლად. სადაც პარტიას ასეთი პირები არ ყავს, იქ თვით სასოფლო საარჩევნო კომისიებმა უნდა დაურიგოს ყველა ამომრჩეველს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიულეტენები.

## პარტიული ცხოვრება

### 1 უბნის კრება

ოთხშაბათს, 5 თებერვალს საღამოს 6 საათზე მიხეილის სახლში (ოლღას ქ. № 52) დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის წევრთა პირველ უბნის მცხოვრებთა საარჩევნო კრება. ამავ კრებაზე აუცილებლივ უნდა გამოცხადდეს ჩვენი პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობაც.

### 2 და 3 უბნების შეერთებული კრება

ხუთშაბათს, 6 თებერვალს საღამოს სრულ 6 საათზე სამეურნეო ბანკში (სასახლის ქ.) დანიშნულია საქ. ეროვ.-დემოკრატ. პარტიის წევრთა მეორე და მესამე უბნებში მცხოვრებთა საარჩევნო კრება. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. ამავე კრებაზე აუცილებლივ უნდა გამოცხადდნენ ჩვენი პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობაც.

### 8 და 9 უბნების შეერთებული კრება.

შაბათს, 8 თებერვალს, საღამოს სრულ 5 საათზე მესამე სასამართლოს განყოფილებაში დანიშნულია საქართველოს ერ.-დემ. პარტიის წევრთა მერვე და მეცხრე უბნებში მცხოვრებთა საარჩევნო კრება. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. ამავ კრებაზე აუცილებლივ უნდა გამოცხადდნენ ადგილობრივ მცხოვრების ჩვენი პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობაც.

### 7 უბნის კრება

შაბათს, 8 თებერვალს საღამოს 6 საათზე მე-5 საქალაქო სასწავლებელში (კახეთის ქ. № 56) დანიშნულია საქ. ერ.-დემოკ. პარტიის წევრთა მეშვიდე (ხარფუხის) რაიონის მცხოვრებთა საარჩევნო კრება. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრებას აუცილებლივ უნდა დაესწროს მოსწავლე ახალგაზრდობაც.

### 5 უბნის კრება

კვირას, 9 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე წმ. მარინეს ეკლესიის სასულიერო სკოლაში დანიშნულია საქ. ერ.-დემოკ. პარტიის წევრთა მეხუთე უბნის საარჩევნო კრება. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრებას აუცილებლივ უნდა დაესწროს ადგილობრივ მცხოვრების პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობა.

ორშაბათს, 10 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, ყოფილ ხარფუხის კლუბში (მიხეილის ქუჩა) დანიშნულია საქ. ერ.-დემოკრატიულ პარტიის წევრთა მეცხრე და მეთორმეტე უბნებში მცხოვრებთა საარჩევნო კრება. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრებას აუცილებლივ უნდა დაესწროს ადგილობრივ მცხოვრებთა პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობა.

ყველა უბნების კრებებზე მომხსენებლები იქნებიან პარტიის მთავარ კომიტეტის წევრები: გიორგი გვაზავა, პართენ გოთუა, ალექსანდრე ასათიანი, მარგველაშვილი და სხვ.

## რა უნდა იცოდეს ყოველმა ამომრჩეველმა

(ამონაწერი დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონიდან).

**საარჩევნო ბარათების მიცემა და დათვლა.**

53. ხმის მიცემა სწარმოებს საარჩევნო ბარათებით.

54. საარჩევნო ბარათები გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს.

55. თვითეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას; ამ სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, არც ერთი კანდიდატის მეორის ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნუმერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომადგენელი ორგანიზაციისა, თუ მას ორგანიზაციის სახელი აქვს დარქმეული.

56. კონვერტები საარჩევნო ბარათებისთვის უნდა იყოს ერთნაირი, არაგამჭვირვალი სუფთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალურ საარჩევნო კომისიისა.

57. საარჩევნო ბარათები და კონვერტები მზადდება ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

ყველა წარმოდგენილი საკანდიდატო სიებისთვის მზადდება თანასწორი რაოდენობა საარჩევნო ბარათებისა.

59. ბარათები და კონვერტები დამზადებისთანავე დაეგზავნება ცენტრალური კომისიის განკარგულებით მთავარ საქალაქო, სამაზრო და საოლქო კომისიებს.

61. მთავარი საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თვითეულ ამომრჩეველს არა უგვიანეს ორი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ გამოცხადებულ საკანდიდატო სიისა და სახელობითი მოწმობა ქალაქის ამომრჩევლებს.

იმას, ვისაც უფლება აქვს მიიღოს სახელობითი მოწმობა და საარჩევნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია, მიეცემა: მოწმობა—ქალაქის მთავარ კომისიაში არჩევნების დღემდე, საარჩევნო ბარათები კი ქალაქის საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღის.

62. საქალაქო და სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიები ამზადებენ პირ-ამოჭრილ საარჩევნო ყუთებს, საარჩევნო ბარათების ჩასაშვებად და უგზავნიან მათ მცირე საარჩევნო ერთეულებს.

64. თვითეულ საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ერთი, ან რამდენიმე მოფარებული ადგილი, რომ ამომრჩეველს, არჩევნების საიდუმლოების დაურღვევლად შეეძლოს ჩასდოს კონვერტში საარჩევნო ბარათი.

67. საარჩევნო შენობაში არ შეუშვებიან: 1) შეიარაღებულნი და 2) ისინი, ვისაც ცხადათ ეტყობა, რომ მთვრალია.

68: თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით, თანხმად კომისიის დადგენილებისა, მოსთხოვოს სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებას გამოუგზავნონ მილიციელები, ან ჯარისკაცები.

მილიციელები და ჯარისკაცები სავსებით ემორჩილებიან თავმჯდომარეს და იმყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

69. თუ წეს-რიგი დაირღვა. ან თუ ვინმე კომისიის ან მისი თავმჯდომარის განკარგულებას არ დაემორჩილა, კომისიას შეუძლია დაადგინოს შეიყვანოს მილიციელები და ჯარისკაცები შენობაში, სადაც არჩევნები სწარმოებს. თუ თავმჯდომარის მოთხოვნა არაა, ისე საარჩევნო შენობაში არავითარი შეიარაღებული ძალის შეყვანა არ შეიძლება.

71. საარჩევნო ბარათი ამომრჩეველმა თვითონ უნდა მიიტანოს და ჩააგდოს საარჩევნო ყუთში.

73. კონვერტს რომ მიიღებს ამომრჩეველი, მიდის მოფარებულ ადგილას და იქ ჩასდებს კონვერტში საარჩევნო ბარათს, დაბრუნდება საარჩევნო ყუთთან და გადასცემს დაბეჭდილ კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მის თვალწინ ჩააგდებს კონვერტს ყუთში.

76. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებისამებრ დამზადებულ საარჩევნო ბარათებთან ერთად ნამდვილ ბარათებად ჩითვლება ისინიც, რომელთა ტექსტი იმ ნაირივეა.

**შენიშვნა.** საპატიო შემთხვევაში საარჩევნო ბარათების მაგიერ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს სუფთა ქაღალდზე ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი შესაფერისი ნომერი.

77. ნამდვილად არ ჩაითვლება: 1) საარჩევნო ბარათი, რომელიც არ შეეფერება მე-54, 55, 56 მუხლებს; 2) ბარათებს, რომელიც შეუვსებელია; 3) ბარათი, ხელმოწერილი ამომრჩევლის მიერ, ან ისეთი, რომელზედაც წაშლილია რაიმე, ან ამოფხეკილი ან ზედ რაიმე გამოსაცნობი ნიშანი აზის, ან თუ ისეთ კონვერტში დევს რომელთაც ასეთი ნიშნები აქვთ; 4) თუ კონვერტში ერთზე მეტია ბარათი და მათი შინაარსი ერთი და იგივე არაა; თუ ერთ კონვერტში რამდენი ერთისა და იმავე შინაარსის ბარათია, ყველა ერთ ბარათად ჩაითვლება.

**არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვა.**

93. ვინც თავის ნებით მოაძრობს, ჩამოხევს, ზემოდან რასმე გადააფარებს ან შესცვლის საჯაროდ გამოფენილ საარჩევნო მოწოდებას, ცნობას ან სიას ამომრჩეველთა იმ ჯგუფებისას, რომელთაც საკანდიდატო სიები წარმოუდგენიათ, დაისჯება დატუსაღებით არა უმეტეს ერთის თვის ვადისა ან დაჯარიმებულ იქნება ფულით არა უმეტეს სამასი მანეთისა,

100. ვინც პიროვნებაზე ძალადობითა, დასჯელის (наказуемый) მუქარითა, მოტყუილებით, ძალაუფლების ბოროტად მოხმარებით ან ეკონომიურის დამოკიდებულებს საშუალებით ხელს შეუშლის საარჩევნო უფლების მქონეს თავისუფლად განახორციელოს ეს უფლება,—დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

101. ვინც ძალადობის საშუალებით, მუქარით, უწესობების მოხდენით, საარჩევნო სიების ან საარჩევნო ბარათების და ყუთების გაფუჭებით, ან საარჩევნო კომისიის წევრებზე ძალადობის ხმარებით ხელს შეუშლის არჩევნების წესიერად წარმოებას საარჩევნო კომისიის შენობაში,—დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით.

102. ვინც უწესობებით, დაშინებით ან მიმოსვლის საშუალების მოსპობით ხელს შეუშლის ამომრჩეველთა ნაწილს გამოიყენოს საარჩევნო უფლება,—დასჯილ იქნება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს ამის წლის ვადისა.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

104. ვინც ამომრჩეველს გადაიბირებს დაპირებით მისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის პირადი ან ქონებრივის სარგებლობის მიცემით რომ უკანასკნელმა არ მიიღოს მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში,—დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვნია ან მიუღია პირადი რამ სარგებლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულის მიზნით.

100. ვინც განზრახ დაამახინჯებს ხმის მიცემის შედეგებს საარჩევნო ბარათების ჩამორთმევისა, დათვლისა ან გამოქვეყნების დროს, ან და განზრახ გააფუჭებს, ან მოიტაცებს მიცემულ საარჩევნო ბარათებს ან საარჩევნო წარმოებას, ან სიყალბით ჩაუმატებს საარჩევნო ბარათებს ან შეცვლის საარჩევნო წარმოებას,—დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

ამ დანაშაულის ჩადენის შეცდაც დაისჯება.

108. ვინც, წინაალმდეგ კანონისა, გამოაშკარავებს [illegible] საიდუმლოებას დამფუძნებელ კრების არჩევნებში,—დაისჯება დატუსაღებით.

190. წევრი საარჩევნო კომისიისა ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც განზრახ დაარღვევს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებას იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს არჩევნების მსჯელობაზე ამა თუ იმ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ თუ საზიანოდ, თუ ამისთვის უფრო სასტიკი სასჯელი არ მოელის,—დაისჯება დატუსაღებით.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.


## არტისტიული თეატრი

ოთხშაბათს, 5 თებერვალს 1919 წ. ს. მაღალიანის მონაწილეობით წარმოდ. იქნება ცნობილი ოპერეტკა

## არშინ-მალ-ალან

4 მოქ. თარგ. ვ. გიგოშვილისა.

მონაწილეები; ქ-ნნი ს. ფეიქრიშვილი, მ. გიგოშვილი, ვ. მარველაშვილი, ა. არჯევანიძე. ბ ნნი: ს. მაღალიანი, მ. ქართველი, ნ. ჩაგუნავა, ი. კობახიძე. დირიჟორი ცნობილი მეთარე სიმონა

დასაწყისი საღ. 7 საათზე. გამგე ა. ხულხანიშვილი

1—2084—1

## სახელმწიფო თეატრი

### საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, სახელმწიფო თეატრში დიდი სამზადისის შემდეგ დადგმული იქნება პირველად ქართული ოპერა კომპ. დიმ. არაყიშვილისა

## თქმულება შოთა რუსთაველზე

მონაწილეობენ ქ-ნნი: შულგინა, სპიტკო, კალანდაძე; ბ-ნნი: სარაჯიშვილი, პოლიაევი, ინაშვილი.

ოპერას ხდგავს ალ. წუწუნავა. დირიჟორობს სტოლერმანი.

6 თებერვალს „ტრავიატა“, კვირას, 9 თებერვალს, დილით—„რუსლან და ლიუდმილა“, საღამოთი პოლიაევის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება „მეფის საძლო“.

## ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

# „საქართველო“

1919 წ. ფილიფადი მეხუთე 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ქარვასლა). ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.

## საქართველოს მამულიშვილნო!

### ახლოვდება დამფუძნებელ კრების არჩევნები

ყოველი ქართველი მამულიშვილი ვალდებულია მხურვალე და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

ჩაეწერეთ სიებში, თუ გამოტოვებული ხართ.

დაიცავით არჩევნებში თქვენი უფლებები.

დაიცავით თავისუფლება და კანონიერება.

ექიმი
## ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ. 25—2305

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
## ალექსანდრე დავითის ძე [illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ექიმ
## ა. ვ. ლევენშტეინისა

იღებს 10 ნახ. 1 საათამდე და 4-იდან 7-ამდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში.) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46.

(თვ. 2075—4.)